საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდევული სიფცეკვაა, ფეფილებით და ჯიტებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 25 მარტი. 2022 წ. №42 (9380) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი

ირაკლი ღარიბაშვილი: წლების განმავლობაში ვიცავდით და ვიცავთ მსოფლიო მშვიდობას!

მინდა, ამ მრავალეროვნული სწავლების მონაწილეებს, ჩვენს პარტნიორებს და მეგობრებს, ყველას გიხდით განსაკუთრებულ მადლობას სწავლებაში მონაწილეობისთვის. წლების განმავლობაში ჩვენს მრავალ პარტნიორთან ერთად მხარდამხარ ვიცავდით და ვიცავთ მსოფლიო მშვიდობას. მსგავსი სწავლებები ამ მიმართულებით არა მხოლოდ ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების შესანიშნავი საშუალებაა, არამედ აძლიერებს ჩვენს კოორდინაციას და ხელს უწყობს უსაფრთხოებასა და სტაბილურობას, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა „ნატო-საქართველოს სწავლება 2022“-ის ფარგლებში საპატიო სტუმრების დღესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა. პრემიერმა მადლობა გადაუხადა პარტნიორებს საქართველოს თავდაცვის ძალების ტრანსფორმაციისა და თავდაცვისუნარიანობის გასაზრდელად მნიშვნელოვანი ძალისხმევისთვის.

„ჩვენ ამას ძალიან ვაფასებთ და ვართ მადლიერნი. საქართველო დემოკრატიული და კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული სახელმწიფოა, რომელსაც ჩვენს პარტნიორებთან და ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსთან აკავშირებს ღირებულებითი ერთობა. ჩვენ ეს არაერთხელ დავამტკიცეთ ჩვენი დემოკრატიული რეფორმებითა და გლობალურ უსაფრთხოებაში საკუთარი წვლილის შეტანით. ევროკავშირში განაცხადიც სწორედ ამ საერთო ღირებულებითი და კულტურული იდენტობისკენ მისწრაფების გამოხატულებაა. კიდევ ერთხელ სწავლებაში მონაწილე ყველა პირს მინდა გადაგიხადოთ მადლობა, განსაკუთრებით ამ დროს, როდესაც უკრაინაში მიმდინარეობს საომარი მოქმედებები, რომელიც არის გამოწვევა არა მხოლოდ უკრაინისთვის, არამედ მთელი ევროპისთვის, მთელი ჩვენი რეგიონისთვის. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა, გისურვებთ წარმატებებს!...“

სალომე ზურაბიშვილი: რეგიონში საქართველოს როლი გამოკვეთილია!

საძართველოსთვის განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს ის ფაქტი, რომ ევროპაში ნატოს მოკავშირეთა ძალების უმაღლესი სარდალი ამ სწავლებაში წარმოდგენილია, როგორც სწავლების დამკვეთი, ხოლო საქართველოს თავდაცვის ძალები, მეთაურის მოადგილის სახით — ამ სამეთაურო-საშტაბო სწავლების ხელმძღვანელია, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა „ნატო-საქართველოს სწავლება 2022“-ისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა:

„მეათე დღეა, მიმდინარეობს ნატო-საქართველოს სწავლება, რომელიც ხვალ დასრულდება. ჩვენი რეგიონისთვის, ევროპისთვის, მსოფლიოსთვის და პირველ რიგში, საქართველოსთვის, ამ ურთულეს პერიოდში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობის უწყვეტი განვითარება, მისი მდგრადობის გაძლიერება და ნატოს სტანდარტებთან თავსებადობის ამაღლება“, — აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

მისი თქმით, **დღეს უკრაინაში მიმდინარე რუსეთის აგრესიის ფონზე, საერთაშორისო თანამეგობრობა თანხმდება, რომ ევროპის მშვიდობა და უსაფრთხოება უპრეცედენტო გამოწვევების წინაშე დგას. მინდა, „ნატო-საქართველოს სწავლება 2022“-ის უკლებლივ ყველა მონაწილეს, ჩვენს პარტნიორებს, ნატოს პარტნიორებს მადლობა გადავუხადო საქართველოს სახელით იმ წვლილისთვის, რომელიც შეაქვთ საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაში. მადლობას მოგახსენებთ მტკიცე ერთიანობისთვის, რომელსაც ევროპისა და რეგიონის უსაფრთხოების გაძლიერებისთვის ავლენთ. საამაყოა, რომ საქართველო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ ურთულეს პროცესში და ამ ურთულეს პერიოდში...**

იენს სტოლტენბერგი: ძლიერი შეიარაღებული ძალები საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის გასაღებია!

ბოლო ორი კვირის განმავლობაში, საქართველოს შეიარაღებული ძალები და მოკავშირე და პარტნიორი ქვეყნების შეიარაღებული ძალები გვერდიგვერდ ატარებდნენ წვრთნებს ოპერატიული თავსებადობისა და ნდობის გასაძლიერებლად, — განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა.

„ეს წვრთნები, რომელიც ჩვენ უკვე მესამედ ჩავატარეთ, ცხადყოფს ნატოს ერთგულებას საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების მიმართ. ეს საქართველოსთან ნატოს მჭიდრო თანამშრომლობის დემონსტრირებაა“, — აღნიშნა იენს სტოლტენბერგმა. ნატოს გენერალურმა მდივანმა ხაზი გაუსვა წლევანდელი წვრთნების კრიტიკულ ფონს, რომელიც გამოწვეულია რუსეთის „უკრაინაში სასტიკი და უაზრო შეჭრით“, რომელმაც „ევროპაში მშვიდობა დაარღვია“.

„ჩვენ დავიცავთ ჩვენს ძირითად პრინციპებს, მათ შორის ყველა ქვეყნის უფლებას, აირჩიოს საკუთარი გზა. ეს ასევე საქართველოს უფლებაა და მას პატივი უნდა სცენ. ძლიერი და ქმედუნარიანი შეიარაღებული ძალები საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის გასაღებია და ნატო გააგრძელებს საქართველოს მხარდაჭერას“, — ხაზგასმით აღნიშნა სტოლტენბერგმა.

ჯო ბაიდენი: უსაფრთხოების სფეროში უკრაინის მხარდაჭერას გავაგრძელებთ!

„ნატოს ლიდერები დღეს ბრიუსელში შევიკრიბეთ უკრაინაში რუსეთის გაუმართლებელი შეჭრის დაწყებიდან ერთი თვის შემდეგ. ჩვენ გავაგრძელებთ უსაფრთხოების სფეროში უკრაინის მხარდაჭერას რუსეთის აგრესიასთან საბრძოლველად და მათი თავდაცვის უფლების დასაცავად“, — დაწერა აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა Twiter-ზე.

◎ ახალი ხედვა

ინესა მერაბიშვილი, აკადემიკოსი

როგორ გვმართებს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მოხსენიება

ოქროს ხანად წოდებული თამარ მეფის მმართველობის პერიოდი პროგრესულ მონაპოვართა განსაკუთრებული სიუხვით გამოირჩევა, მაგრამ ამ ეპოქის ყველაზე დიდ მიღწევად და გვირგვინად „ვეფხისტყაოსანი“ გვეგულება. მიუხედავად ამისა, აღმოჩნდება, რომ თამარ მეფის არც ერთი მემატიანე არც „ვეფხისტყაოსანს“ ახსენებს, და არც მის ავტორს. ეს დუმილი სამი საუკუნის მანძილზე გრძელდება და დღეისათვის რუსთველსა და მის პოემაზე ამ პერიოდის არანაირი წერილობითი ცნობა არ მოგვეპოვება. როგორც დიდი ივანე ჯავახიშვილი ასკვნის, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი სიცოცხლეშივე იდევნებოდა. ამდენად, საკვირველი არაფერია იმაში, რომ გენიოსი პოეტის შესახებ მიოგრაფიული ცნობები არ გაგვაჩნია, ხოლო პოემის დედნისეული ტექსტი ან იმდროინდელი ხელნაწერი გადარჩენილი არაა.

საუკუნეების მანძილზე რუსთველზე შეყვარებული ქართველი კაცი მის ცხოვრებაზე ლეგენდებს თხზავდა, თუნდაც განსხვავებულს, მაგრამ მის ამბავს თაობიდან თაობას გადასცემდა, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პოემის ხელნაწერების შესრულების გზით, ერმა ეს შედევრი შემოინახა და უკვდავყო.

გადმოცემის თანახმად, სახელი **„რუსთველი“** ნიშნავს რუსთავიდან წარმოშობილს ან მის მფლობელს. რუსთავში კი იგულისხმება ძირითადად ქალაქი თბილისის მახლობლად ან დაბა მესხეთში. ფოლკლორული მასალების თანახმად, უპირატესობა ეძლევა მესხეთს, მით უმეტეს, რომ იმხანად ეს კუთხე ჩვენი მწერლობისა და კულტურის აკვანი იყო, ხოლო ეპილოგში პოეტი გარკვევით მიგვანიშნებს თავის მესხურ წარმოშობაზე — **„ვწერ ვინმე მესხი მელექსე“**. ეპილოგის სტილისტიკიდან და შინაარსობრივი პარამეტრებიდან გამომდინარე, ვერ გავიზიარებ შეხედულებას, რომ პოემის ეს დასკვნითი ნაწილი ინტერპოლატორების მიერაა დამატებული.

ერთ-ერთი თქმულების თანახმად, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს თამარ მეფის კარზე ეკავა მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა, ანუ განაგებდა ქვეყნის ფინანსებს. ისიც ნათქვამია, რომ რუსთველმა სიცოცხლის ბოლო წლები იერუსალიმის ჯვრის მონასტერში გაატარა, ხოლო ზოგი ვერსიით, იქვე აღესრულა.

იხ. 4-5 გვ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲜᲐᲢᲝᲔᲚ ᲒᲔᲜᲔᲠᲚᲔᲑᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ თავდაცვის მინისტრმა ჯუანშერ ბურჭულაძემ უწყებაში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამხედრო მაღალჩინოსნებს უმასპინძლა. ნატოს მოკავშირეთა სახმელეთო ძალების სარდლობის მეთაურის მოადგილესთან, გენერალ-ლეიტენანტ ნიკოლა ძანელისთან და ნატოს საერთაშორისო სამხედრო სამსახურის თანამშრომლობითი უსაფრთხოების სამმართველოს დირექტორთან, გენერალ-მაიორ ფრანჩესკო დიელასთან საუბრის მთავარი თემა ნატო-საქართველოს თანამშრომლობის პრაქტიკული მექანიზმები, შავი ზღვის სტრატეგიულ დიალოგში ჩართულობა და რეგიონში არსებული გართულებული უსაფრთხოების გარემო იყო. როგორც ჯუანშერ ბურჭულაძემ აღნიშნა, გამოწვევების მიუხედავად საქართველო პარტნიორების მხარდაჭერით განაგრძობს რეფორმებს თავდაცვის მიმართულებით, რათა კიდევ უფრო განავითაროს თავდაცვითი შესაძლებლობები.

საუბარი შეეხო ნატო-საქართველოს მესამე სწავლებას, რომელსაც საქართველოს თავდაცვის ძალები მასპინძლობს. ჯუანშერ ბურჭულაძის თქმით, სწავლება ნათლად აჩვენებს საქართველოს საწვრთნელ შესაძლებლობებს, რომელიც უკვე იმ დონეზეა განვითარებული, რომ მრავალეროვნული წვრთნების ჩატარებისთვის პარტნიორებს მაღალი სტანდარტების, ფართომასშტაბიან და ეფექტიან საწვრთნელ გარემოს სთავაზობს.

ᲨᲐᲠᲚ ᲛᲘᲨᲔᲚᲘ: ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲒᲝᲜᲘᲕᲠᲣᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲛᲘᲥᲪᲔᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲖᲔ...

„ᲩᲕᲔᲜ უნდა დავრწმუნდეთ, რომ პუტინი დამარცხდება. ეს უნდა იყოს საერთო მიზანი. ეს არის უსაფრთხოების საკითხი, ევროპისა და მსოფლიოს მომავლისთვის“, — აღნიშნა ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა.

შარლ მიშელმა ასევე ისაუბრა სანქციებზე და განაცხადა, რომ ევროკავშირი გონივრულად უნდა მოიქცეს რუსეთის წინააღმდეგ სანქციების მიმართ.

„ᲩᲕᲔᲜ რუსეთის წინააღმდეგ უპრეცედენტო სანქციები დავაწესეთ. სანქციების სამიზნე ოლიგარქები და რუსეთის ეკონომიკური სექტორებია. თუმცა, ევროპისა და შეერთებული შტატების მდგომარეობა ერთნაირი არ არის. მაგალითად, ნავთობის ან გაზის სექტორი. ჩვენ ბევრად უფრო დამოკიდებულნი ვართ ევროპაში, ვიდრე შეერთებულ შტატებში. ამიტომ გონივრულად უნდა მოვიქცეთ. მიზანია, რომ სანქციები რუსეთისთვის და არა ჩვენთვის იყოს მტკივნეული“, — აღნიშნა შარლ მიშელმა.

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ „ᲙᲠᲔᲓᲘᲢ ᲡᲣᲘᲡᲡ“ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲓᲐᲕᲐ ᲛᲝᲣᲒᲝ!

ᲗᲐᲚᲚᲘᲗᲛᲐ ᲝᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲛᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲛᲝᲘᲙᲚᲐ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲛᲐ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲛᲐ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ, „ᲙᲠᲔᲓᲘᲢ ᲡᲣᲘᲡᲗᲐᲜ“ ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲛᲝᲞᲐᲠᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲮᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲚᲐᲓ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲛᲝᲘᲒᲝ! სტატიას Financial Times აქვეყნებს.

„კრედიტ სუისის“ განცხადებით, ბანკი შეიძლება აიძულონ, გადაიხადოს 4500 მილიონზე მეტი, როგორც კი ბერმუდის სასამართლო გამოაქვეყნებს გადაწყვეტილებას ბანკის ადგილობრივი სადაზღვევო შვილობილი კომპანიის წინააღმდეგ. მოსალოდნელია, რომ ბერმუდის სასამართლო გადაწყვეტილებას მომავალ კვირას გამოაქვეყნებს.

„Credit Suisse“-მა ადრე აიღო რეზერვები ამ საკითხთან დაკავშირებით და აპირებს განახორციელოს ყველა არსებული სამართლებრივი ქმედება“, — ნათქვამია ბანკის განცხადებაში. იანვარში ბანკმა განაცხადა, რომ 2021 წლის მეოთხე კვარტალში მიიღო SFr436mn (469 მილიონი აშშ დოლარი) უზრუნველყოფა, რათა დაფაროს სასამართლო პროცესები, მაგრამ დაამატა, რომ ეს ძირითადად დაკავშირებულია მის საინვესტიციო საბანკო ბიზნესთან.

„ჩვენ განვიხილავთ, საჭიროა თუ არა დამატებითი რეზერვები, როგორც ჩვენი პირველი კვარტლის შედეგების ნაწილი, რომელიც გამოქვეყნდება 2022 წლის 27 აპრილს,“ — განაცხადეს მათ.

ბანკმა დამატებითი კომენტარისგან თავი შეიკავა.

ივანიშვილმა უარი თქვა კომენტარის გაკეთებაზე და ბერმუდის სასამართლომ გამოქვეყნების მომენტისთვის კომენტარზე თხოვნას არ უპასუხა.

მილიარდერ ივანიშვილის დავა Credit Suisse-თან 2011 წლიდან იწყება, როდესაც ის ჯგუფის კერძო საბანკო კლიენტი იყო. სწორედ მაშინ გაჩნდა დეტალები, რომ ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში Credit Suisse-ის კერძო ბანკირი პატრის ლესკადრონი თაღლითობდა შვეიცარიული ბანკის ანგარიშებთან დაკავშირებით — მათ შორის ივანიშვილისა და რუსი ოლიგარქის ვიტალი მალკინის ანგარიშებზე — აფინანსებდა მდიდრული სახლების, სპორტული მანქანების, Rolex-ის საათების და შანელის სამკაულების საჩუქრებს.

შვეიცარიული მარეგულირებელი Finma-ს საქმის მამხილებელმა ანგარიშმა, რომელიც უნებლიედ გამოქვეყნდა გასული წლის თებერვალში, აღმოაჩინა განმეორებითი გამაფრთხილებელი ნიშნები, ასობით საეჭვო ტრანზაქციის მტკიცებულება, ოთხი ფორმალური დისციპლინური სამართალწარმოება, რომლებიც Credit Suisse-მა არ მიიღო.

ივანიშვილმა რამდენიმე საჩივარი შეიტანა შვეიცარიაში და უჩივლა Credit Suisse-ის ბერმუდის შვილობილ კომპანიას სასამართლო პროცესზე გასული წლის ნოემბერსა და დეკემბერში ქვეყნის უზენაეს სასამართლოში. Credit Suisse-ი დიდი ხანი ამტკიცებდა, რომ ლესკადრონი — რომელიც 2018 წელს კრიმინალად იყო ნასამართლევი და 2020 წელს ვადამდელი გათავისუფლების შემდეგ თვითმკვლელობით დასრულა სიცოცხლე — იყო ძალიან წარმატებული თაღლითი ოპერატორი, რომელიც დაუღალავად მუშაობდა ზემდგომებისა და კოლეგებისგან თავისი უკანონო საქმიანობის დასამალად. ლესკადრონის წინააღმდეგ შვეიცარიის სისხლის სამართლის საქმემ დაადგინა, რომ ბანკი იყო დამნაშავე მხარე.

ᲞᲣᲢᲘᲜᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲓ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲔᲡ!

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ სეიმმა რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ომის დამნაშავედ გამოაცხადა.

შესაბამისი რეზოლუცია სეიმმა 23 მარტს მიიღო. რეზოლუცია აკლამაციის გზით, არა ხმის მიცემით, არამედ კენჭისყრის მონაწილეთა რეაქციების (შეძახილების) შედეგად დაამტკიცეს.

„პოლონეთის რესპუბლიკის სეიმი მტკიცედ გმობს ხანგრძლივი ძალადობის აქტებს, ომის დანაშაულებს, დანაშაულებს კაცობრიობის წინააღმდეგ, გენოციდის აქტს, ადამიანის უფლებების სისტემურ დარღვევებს, რომელსაც ახორციელებს რუსეთის ფედერაციის ძალები პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფი სამხედრო მეთაურების ბრძანებით, სუვერენული უკრაინის ტერიტორიაზე“, — ნათქვამია სეიმის განცხადებაში.

სეიმმა მოუწოდა სახელმწიფოებს, რომლებიც აღიარებენ უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას, ყველა საშუალებით მხარი დაუჭირონ ინიცირებულ და სასამართლო განხილვებს საერთაშორისო სასამართლოში. ასევე მოუწოდა გამოიყენონ თავიანთი უფლებამოსილება ნებისმიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში, პუტინის, რუსეთის უსაფრთხოების საბჭოს წევრებისა და რუსეთის შეიარაღებული ძალების მეთაურების პასუხისგებაში მისაცემად.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲨᲘ

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲠᲐᲣᲚ ᲩᲘᲚᲐᲩᲐᲕᲐᲡᲗᲐᲜ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია მასპინძლობდა უკრაინიდან სამშობლოში დაბრუნებულ ღირსეულ მამულიშვილს,თვალსაჩინო ქართველ პოეტს, მთარგმნელს, დიპლომატსა და საზოგადო მოღვაწეს, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, აკადემიკოს რაულ ჩილაჩავას, რომელმაც თავისი ცხოვრების მრავალი ათეული წელი დაუკავშირა მოძმე უკრაინას და მნიშვნელოვნად განამტკიცა ქართულ-უკრაინული ურთიერთობები.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, მისალმების შემდეგ, რაულ ჩილაჩავამ ისაუბრა თავისი მრავლისმომცველი ცხოვრებისეული გზის ცალკეული ეპიზოდების შესახებ და ,ბუნებრივია,მთავარი ყურადღება დაუთმო ამჟამად უკრაინაში მიმდინარე სისხლისღვრას.

პოეტმა ხაზგასმით, კმაყოფილებით აღნიშნა ის უტყუარი ფაქტი, რომ საქართველო, ქართული სახელმწიფო, ხელისუფლება და საზოგადოება შესაძლებლობის ფარგლებში მხარში უდგას უკრაინელ ხალხს, რასაც მის მიერ გადადგმული არაერთი საგულისხმო ნაბიჯი ადასტურებს. სრულიად განსაკუთრებულია მზრუნველი დამოკიდებულება უკრაინის მოქალაქეთა, ლტოლვილთა მიმართ და მრავალისხვ.

შეხვედრაზე **რაულ ჩილაჩავას** გულთბილად და მადლიერებით მიმართეს აკადემიის პრეზიდენტმა **გიორგი კვესიტაძემ,** ვიცე-პრეზიდენტმა **როინ მეტრეველმა,** აკადემიკოს-მდივანმა **რამაზ ხუროძემ,** აკადემიკოსებმა **რამაზ ხეცურიანმა** და **ვალერი ასათიანმა,** პროფესორმა **მალხაზ ბაძაღუამ,** საზოგადო მოღვაწემ **ოთარ ჭითანავამ.** მასპინძლებს პოეტმა წაუკითხა ახალი ლექსი, რომელიც მან შექმნა რუსეთის ჯარის მიერ იავარქმნილი მირგოროდის ხილვის შემდეგ.

ᲠᲐᲣᲚ ᲩᲘᲚᲐᲩᲐᲕᲐ

ᲬᲣᲮᲡ ᲡᲐᲒᲣᲠᲐᲛᲝ!

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲣᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲡ

ᲰᲣᲡᲐᲠᲗᲐ ᲞᲝᲚᲙᲘᲡ
ᲞᲝᲓᲞᲝᲠᲣᲩᲘᲙᲝ,
დავით გურამოვ!
რუსი მირგოროდს ქვემეხებს
უშენს,
წუხს საგურამო!
შენ მაგდებურგთან ცხენი
დაკარგე,
ტყვე გახდი პრუსის!
ახლა კი რუსის
ნაჯარისკაცალს
თოფს გესვრის რუსი!..
ქართველ მგოსანთა
დიდო პაპაო,
ჯვარცმულო დავით,
ვიცი დამპყრობელს არ
დანებდები
ცოცხალი თავით!
შენ ვერაფერი ვეღარ
დაგაკლო
პრუსმა თუ ლეკმა,
ახლაც საფლავში
ვერაფერს გიზამს
მონღოლთა ჩექმა.
თოვს...მინდა, შენი
ნაფეხურები
ამ თოვლში ჩანდეს...
მე ზედაზენზე ავალ და
დღესვე
დაგინთებ სანთელს!

20 მარტი. 2022. თბილისი

ქალთა და ნაკაცართა როლი ქართულ პოლიტიკაში

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ პოლიტიკურ მეძავთა „ცხოვრებისა და მოღვაწეობისთვის“ იმდენი „ნაშრომი“ მაქვს მიძღვნილი, სამ სადოქტორო დისერტაციას მაინც ეყოფოდა. ასეთ ფართო და ამოუწურავ თემას ძნელად თუ იპოვით ნებისმიერ დარგსა და სფეროში. ბოლო დროს აღმოვაჩინე პოლიტოლოგთა, ისტორიკოსთა, ფსიქოლოგთა, მედიკოსთა და ზოგიერთი სხვა დარგის სპეციალისტთა მეცნიერული კვლევებისთვის მეტად საგულისყურო მიმდინარეობა, პირობითი სახელწოდებით – „ქალის როლი ქართულ პოლიტიკაში“.

ᲬᲚᲔᲑᲘᲡ წინ ვწერდი, რომ **ქართული პოლიტიკის პრობლემებს ძირითადად ოთხი ფაქტორი განაპირობებდა – ანგარება, ამპარტავნება, პროვინციალიზმი და... „კლიმაქსი“.** ამ უკანასკნელში იგულისხმებოდა გარემოებათა გამო ფუნქციადაკარგული, ან ფუნქციაშეცვლილი ქალებისა და მამაკაცების ჯგუფები, რომლებიც პოლიტიკის მეშვეობით ცდილობდნენ დამთრგუნველი განწყობების კომპენსირებას. მაგალითისთვის, **ამ კონტექსტში რესპუბლიკურ პარტიას, როგორც პოლიტიკური ცვევდნობის თვალსაჩინო ნიმუშს, ჯერ კიდევ 90-იან წლებში ვუწოდე „თეიმურაზ ხევისთავის სახელობის პოლიტიკური კლუბი“.** სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ამ „პოლიტიკური ძალის“ წარმომადგენელთა (როგორც ინდივიდუალურად, ისე როგორც ერთი მთლიანის) თეიმურაზ ხევისთავთან შედარებას ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებელი რამდენიმე ავტორი ჰყავს, რაც ხაზს უსვამს შეფასების უტყუარობას.

მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული კატეგორიის ქალთა და მამაკაცთა წინაშე დასმული ამოცანები და მათი რეალიზების ფორმები თითქმის იდენტურია, გამოცდილი თვალი ბევრ პრინციპულ სხვაობასაც დაინახავს. განსაკუთრებით საინტერესოა დაკვირვებები ამ ტიპის ქალბატონთა ქცევაზე. **ბოლო დროს თვალშისაცემია, რომ ქართული პოლიტიკის ოპოზიციურმა ფლანგმა ფართოდ დანერგა ე.წ. „ქალების აფარების“ პრაქტიკა.** ძნელი სათქმელია, ეს შეთანხმებულად, გაწერილი გეგმის საფუძველზე ხდება, თუ ზედმეტი პრობლემებისგან თავის დაცვის ინსტიქტით ნაკარნახები წახალისებით.

რომელიც უნდა იყოს, მაინც გაჭირვებიდან გამომდინარე იძულებაა ეს ყველაფერი. ყველა ჯურის ოპოზიციას ერთი იარაღიღა შემორჩა – ტყუილი. ტყუილის ყველა ნაირსახეობაზე – ცილისწამება, შეურაცხყოფა, დაბრალება და ა.შ. – **„ძლიერი სქესის“ წარმომადგენლებისთვის, პოლიტიკურის მიღმა, ათასგვარი სხვა პასუხი არსებობს, ალიყურით დაწყებული და წიხლქვეშ გაგდებით დამთავრებული,** რაც ქალთა შემთხვევაში სრულიად გამორიცხულია (ცხენის კუდზე თმით გამობმა დიდი ხნის წინ გადავარდა მოდიდან).

ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ მარტივია – **ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ ᲘᲙᲐᲓᲠᲝ(!),** ᲤᲝᲠᲛᲐ – **ᲠᲐᲪ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲔᲢᲘ ᲣᲢᲘᲤᲠᲝᲑᲘᲗ.** აშკარაა, რომ „ᲘᲔᲠᲐᲠᲥᲘᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲡᲕᲚᲘᲡ“ მთავარი კრიტერიუმიც ესაა – კადრები. **ᲒᲐᲓᲐᲮᲔᲓᲔᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲐᲫᲢᲘᲣᲠᲘ ᲝᲞᲝ-„ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲔᲑᲘᲡ“ ᲡᲘᲐᲡ: ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲘᲫᲔ, ᲡᲐᲛᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲑᲝᲙᲣᲩᲐᲕᲐ, ᲩᲐᲠᲙᲕᲘᲐᲜᲘ, ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲜᲐᲪᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲡᲐᲛᲜᲘᲫᲔ, ᲙᲝᲠᲫᲐᲘᲐ, ᲑᲣᲩᲣᲙᲣᲠᲘ, ᲮᲔᲠᲮᲔᲣᲚᲘᲫᲔ, ᲩᲮᲔᲘᲫᲔ.** ᲓᲔᲰᲣᲢᲐᲢᲘ ᲡᲣᲡᲢᲡᲫᲔᲡᲔᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲩᲩᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ ᲐᲫᲣᲑᲐᲠᲓᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲘᲜᲓᲛᲝᲛᲔᲑᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲓᲔᲜᲖᲔ ᲯᲔᲠ ᲕᲔᲠ ᲫᲐᲩᲐᲕᲡ. ᲰᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲠᲔ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲡᲐᲒ ᲫᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲔᲑᲘ ᲛᲘᲣᲫᲦᲕᲘᲐᲜ ᲬᲘᲜ: **ᲚᲝᲛᲯᲐᲠᲘᲐ, ᲒᲘᲒᲐᲣᲠᲘ, ᲮᲝᲨᲢᲐᲠᲘᲐ, ᲛᲔᲒᲘᲒᲝᲪᲘᲠᲘᲫᲔ** (ᲔᲠᲗᲐᲓ ᲘᲬᲔᲠᲔᲑᲐ), **ᲗᲝᲚᲝᲠᲐᲘᲐ, „ᲜᲐᲜᲔᲣᲩᲐᲡ ᲒᲝᲒᲝ“,..** ᲛᲔᲓᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲨᲘᲪ, **ᲗᲣ ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐᲡ ᲐᲠ ᲩᲐᲕᲗᲕᲚᲘᲗ(?), ᲗᲐᲡᲚᲜᲝᲑᲐᲡ ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲓ „ᲛᲐᲜᲓᲘᲚᲝᲡᲜᲔᲑᲘ“ ᲤᲚᲝᲑᲔᲚ.** ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ, ᲐᲛ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲕᲠᲪᲔᲚ ᲩᲐᲛᲝᲜᲐᲗᲕᲐᲚᲡ ᲰᲧᲐᲕᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲪ ᲓᲐ ᲐᲣᲗᲡᲐᲘᲓᲔᲠᲔᲑᲘᲪ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛᲐᲖᲔ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲠᲝᲡ.

როგორც ყველაფერს ცხოვრებაში, ამ უკვე მყარად დამკვიდრებულ პრაქტიკასაც აქვს თავისი გამონაკლისები. ჩემი დაკვირვებით, **არის მამრობითი სქესის სამი წარმომადგენელი, ვინც „ამაყად“ და დამსახურებულად იკავებს ადგილს ზემოთ შემოთავაზებულ სიაში, სტრიქონის გამოტოვებით, ოლონდ თანასწორ პოზიციებზე. ესაა ხაბეიშვილ-ხუხაშვილ-სანიკიძის ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებელი ტრიო.** ერთმანეთისგან დამოუკიდებლობაში ერთმანეთის მიმართ ანგარიშვალდებულების არქონა იგულისხმება მხოლოდ.

ბევრი ვიფიქრე, ხსენებული სამი პერსონა რა ნიშნით შეიძლება იყოს გამორჩეული სხვა „ძლიერსქესელებისგან“, რაც მათ „განსაკუთრებულობას“ განაპირობებს მეთქი? ანგარება, რაც ძალიან თვალშისაცემია, არანაირ განსხვავებულობაზე არ შეიძლება მეტყველებდეს, რადგან ეს ყველას საერთო ნიშანია, ქალიან-კაციანად. ბოლოს, გამორიცხვის მეთოდმა მაპოვნინა უტყუარი დასკვნა: **ამ „ცნობად“ გვამებს ის უნდა აერთიანებდეს, რომ საზოგადოებაში მათი „იმიჯიდან“ და „ავტორიტეტიდან“ გამომდინარე და კიდევ სხვა მიზეზთა გამო, მათზე ხელს არავინ გაისვრის,** ანუ ხელშეუხებლობა გარანტირებული აქვთ (ამათ ნაცმხარდამჭერებიც არ ციტირებენ, რადგან იციან, რომ მთელი სიგრძე-სიგანით მხილებული, მოსიარულე „ფეიკები“ არიან). არავინ იფიქროს, „ქალთა სახეების“ სიაში ჩასმით ქალბატონებს ვადარებდე პირდაპირი მნიშვნელობით, ასეთ შეურაცხყოფას ვერავის ვაკადრებ. უბრალოდ, შედეგია ერთი – **იქ გენდერული მიზეზით, აქ კი პატივისცემის, უფრო სწორად, უპატივცემულობის ხარისხიდან გამომდინარე.** (ეს სტრიქონები უკვე დაწერილი მქონდა, როცა ერთი პირობა გავიფიქრე, ხაბეიშვილი თავში წატყაპუნების საფრთხისგან მთლად დაცული არ უნდა იყოს მეთქი, მაგრამ გადაკეთება დამეზარა და ყველაფერი ისე დავტოვე, როგორც არის.)

ჩემ მიერ შემოთავაზებული, კონკრეტული ფაქტებით გამყარებული თეორია, დარწმუნებული ვარ **ბევრში გამოიწვევს დაუკმაყოფილებლობის განცდას, ბევრს გაუჩნდება სიის გაფართოების დაუოკებელი სურვილი.** იტყვიან, მაგალითად, უსუფაშვილმა და ხიდაშელმა რა დაგიშავეს ასეთი, რატომ ვერ დაიმსახურეს შენი ყურადღებაო?

დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს ფუნდამენტურ სხვაობას ზემოხსენებულებსა და ამ უკანასკნელებს (ზოგისთვის პირდაპირი და ზოგისთვის ირიბი მნიშვნელობით) შორის. **„ზემოხსენებულები“ იმ „სტილის“ მიმდევრები არიან, გამზადებულ მესიჯებს ტალახივით რომ ისვრიან მარცხნივ და მარჯვნივ, ხოლო „უკანასკნელები“, ყველა სხვა მარადიულ „რესპუბლიკელთან“ ერთად** (რეიგანს და მის თანამოაზრეებს არ ვგულისხმობ), **„ანალიზებით“** (აქაც პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) **ცდილობენ ხალხის ახალი და ახალი „სიყვარულების“ მოპოვებას... მათი მშობლების მისამართით.**

საერთოდ, „რესპები“ ყველასგან და ყველაფრისგან განსხვავებული, თანაც დროში განვრცობილი თემაა. ადრეც ვწერდი – **ამ სულგაყიდულებისა და სულ გაყიდულებისთვის ჯაყო ფიზიკური არსებობის პირობაა, აუცილებლობაა.** თეიმურაზ ხევისთავი ლოგინში შემოპარულ ჯაყოს რომ არ იმჩნევდა, ისეა „ჩვენი რესპუბლიკელების“ საქმეც... **ეტყვი, თეთრზე თქვი შავიაო – იტყვის; ეტყვი, პატრიარქს შეაგინეო – შეაგინებს; ეტყვი, მიშას წელს ქვემოთ ემთხვიეო, გეტყვის – წინიდან თუ უკნიდანო; ეტყვი - ადრე კიტოვანს და სიგუას რომ კოცნიდიო, გეტყვის - ყველა ნამდვილი პატრიოტი ასე მოიქცეოდაო; ეტყვი, შევარდნაძესაც რომ ჩუქნიდი პომადიან ამბორსო, გეტყვის – გვირაბის ბოლოს სინათლე მხოლოდ იმ წერტილიდან ჩანდაო; ეტყვი, ჟვანიასაც და სარიშვილსაც რომ ეკონებოდიო ალმოდებული ტუჩებით, გეტყვის – ეგ ევროპისკენ გზის გაკვალვა იყოო; ეტყვი,.. და ბიძინასაც რომ ესაო და ისაო... გეტყვის – მანევრი იყო, ხალხისთვის რომ დაგვენახებინა პრორუსული ორიენტაციის სიმწარე და სიმძაღე. არ გახსოვთ, რა დაღრეჯილი სახეებით ვილოკავდით ბაგესო?..**

ყველას გვყოლია თანაკლასელი ან თანაკლასელები, ჰუმანიტარულ საგნებს ასე თუ ისე თავს რომ ართმევდნენ, მაგრამ მათემატიკაში საწყის მასალასაც რომ ვერ ითვისებდნენ. ასეა ქართველი „რესპების“ საქმეც, ოღონდ პირიქით – **ვერა და ვერ ისწავლეს პოლიტიკა, სამაგიეროდ, „ბუღალტერია“ არ ეშლებათ(!).** მავანი იტყვის, პოლიტიკის ცოდნა რაში სჭირდებათ, მაინც დაკვეთებზე მუშაობენო, მაგრამ არც ეგრეა საქმე. რაღაცა რომ „ხარისხიანად“ დააზიანო, ცოდნა აუცილებელი პირობაა. ეს ოროსნობა რომ გაუბაზრდათ, სწორედ ამიტომაა, რომ არცერთ რესპუბლიკელს, არც იქით და არც აქეთ, ძაღლად არავინ აგდებს. ამათი ამბავი ისეა, ერთი ძველი ანეკდოტის პერსონაჟი რომ ჩივის – **„ეს საქმე ხომ არ გამომდის და არ გამომდის, მაგრამ თავსაც რომ ვერ ვანებებო“.**

არსებობს ასეთი სატელევიზიო იუმორისტული პროექტი – „ტვინების ომი“. **თუ მოუსმენთ** (შიგადაშიგ თვალდახუჭული) **ინგა გრიგოლიას, ან სხვა რომელიმე ნაცჟუუურნალისტის ინტერვიუს პ(რ)ოოოლიტიკოს დავით უსუფაშვილთან, პაატა ზაქარეიშვილთან, თინა ხიდაშელთან, ორივე ბერძენიშვილთან, ხანდახან ვახტანგ ძაბირაძესთან და... კინაღამ დავით ზურაბიშვილი გამომრჩა (ძველიან-ახლიანად სულ ეს არის „რესპუბლიკური პარტია“), გინდა-არგინდა, „ტვინების ომი“ გაგახსენდება.** ამდენი სისულელისა და სიბრიყვის სპეციალურად მოგონება, უბრალოდ, წარმოუდგენელია, რაც იმის დასტურია, რომ ეს ყველაფერი უცოდინარობიდან მოდის. **„ტვინების“ იმ დონეზე დაბნელების, რომ ვერ ხვდები რომ არ იცი, კიდევ ორი მიზეზი არსებობს – უნიადაგო ამბიცია და აქედან გადმოდენილი ბოღმა.**

> **მაგალითად პაატა ზაქარეიშვილის მიერ „ინტერპრესნიუსის“ გვერდზე უხვად მიმოფანტული ცხელ-ცხელი „მარგალიტებიც“ კმარა (23.03.2022 – ჩათვალეთ, რომ მთელ „ნააზრევს“ ვციტირებ). ეს არის ან „ბუჩქებში“ შეყუჟული პროვოკატორის დაკვეთილი მავნებლობა, ან ყავლგასული პოლიტიკური პროსტიტუტკის (გაიხსენეთ ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩას“ მეორეხარისხოვანი პერსონაჟი, მილიციაში „დანოსებს“ რომ წერს) და იმავდროულად უცოდინარი იდიოტის გამწარებული ნაბოდვარი, ან ორივე ერთად. ორ ციტატას მაინც მოვიტან, რომელიც ცნობილი მისამართიდან წამოსულ ცნობილ ნარატივს გაგახსენებთ და რომელიც მთლიანად გადმოსცემს „ავტორის პათოსს“: რატომ დუმს ხელისუფლება? – სავარაუდოდ, მას დირექტივები რუსეთიდან აქვს და ახლა შეშინებული სირაქლემას პოზიციაშია“; „კარგი იქნება, თუ ყოველდღე თუნდაც ერთი საათით 10 ათასი კაცი მუდმივად გარეთ იქნება ქუჩაში და გააპროტესტებს ხელისუფლების პოლიტიკას, ამას მსოფლიო დაინახავს, რომ მოსახლეობა არ ეთანხმება ხელისუფლებას“.**

ობიექტური შეფასებისთვის ისიც გაითვალისწინეთ, რომ **ამას ამბობს კაცი, რომელსაც, მთელი თავის „პარტიიანად“, ცხოვრებაში, არცერთი მიტინგი არ გაუმართავს და საერთოდ, არცერთი მეტნაკლებად საყურადღებო პოლიტიკური აქტივობა არ განუხორციელებია. წარმოიდგინეთ, დაბადებით იმპოტენტი ენერგიამოზღვავებულ თინეიჯერებს სექსის გაკვეთილებს რომ უტარებდეს.**

ბოლო დრომდე გადასინჯვას არ ექვემდებარებოდა მოსაზრება, რომ ანდაზები უტყუარად ჭეშმარიტებას ღაღადებენ. აღმოჩნდა, რომ ცხოვრების ამ კანონსაც აქვს გამონაკლისი. ძალიან მარტივად, ერთად შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ **ანდაზამ – „ძაღლი შინ არ ვარგოდა და გარეთ გარბოდაო“ - დროის გამოცდას ვერ გაუძლო. ქართველმა „რესპებმა“, რომელთა მთელი ბიოგრაფიაც კარდაკარ წანწალია, ბევრგან, ანუ არაერთხელ იპოვეს თავისი საკმაოდ კარგად ანაზღაურებადი ადგილი.**

...მოიცა, მოიცა, ანდაზაში ვარგისობაზეა ლაპარაკი და არა თბილი და სარფიანი ადგილის შოვნაზე. ეჰ,.. უკან მიმაქვს ჩემი სიტყვები. ვაღიარებ, ანდაზა მართლაც ჭეშმარიტებას ღაღადებს, მაგრამ თქვენც უნდა დამეთანხმოთ, რომ **უნებლიეთ, ახალი „სიბრძნის“ დაბადების წინაშე აღმოვჩნდით - „ქართულ პოლიტიკაში უვარგისობაც ფასობსო“.**

თანამედროვე თეიმურაზ ხევისთავებს ამდენ დროს იმიტომ ვუთმობ, რომ უკრაინის ომის გამო შექმნილ კრიტიკულ ვითარებაში ყველაზე საზიზღრად, ყველაზე გულისამრევად, ყველაზე მავნებლურად იქცევიან. თუ თეიმურაზ ხევისთავი ყუჩად ეგუება თავის უღირსებო ყოფას, **ეს პოლიტიკური ცვევნები ცდილობენ სინდისით და ღირსებით ვაჭრობა გონივრულ და ქვეყნის ინტერესებისთვის სასიკეთო პოზიციონირებად გაასაღონ.** თეიმურაზ ხევისთავი, გარკვეული თვალსაზრისით, შეცოდებასა და თანაგრძნობასაც კი იწვევს, ესენი... ესენი მხოლოდ ერთმანეთში შეზავებულ დაცინვას, რისხვასა და სიძულვილს.

როგორც ზემოთ მოგახსენებდით, პოლიტიკაში არაევროპული გზითა და კრიტერიუმებით მოხვედრილ ქალთა და ნაკაცართა თემა ვრცელია და მრავალწახნაგოვანი, შეიძლება ითქვას, ამოუწურავიც, მაგრამ ქვეყნის არევის მსურველთა მხილებას სიზიფეს შრომას მაინც არ შევადარებდი. შედეგები ნელი ტემპით, მაგრამ მაინც თავის ადგილს პოულობს. **ვიმედოვნებ, 2024 წლისთვის პოლიტიკური ველი სარეველასგან, ნაგვისგან და სხვადასხვა ქიმიური და არაქიმიური ტოქსიკური ნარჩენებისგან სრულად გაიწმინდება.**

მანამდე კი დაუღალავად უნდა ვმარგლოთ და ვწმინდოთ.

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲓᲕᲐᲚᲘ,
23.03.2022 წ.

როგორ გვმართებს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მოხსენიება

ᲘᲜᲔᲡᲐ ᲛᲔᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡᲘ

(პირველი გვერდიდან) ამდენად, მსგავსად ჰომეროსისა, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობა გურუსით მოსილი რჩება. მოგვიანებით, რუსთველის ბედს გაიზიარებს შექსპირი, რომლის თხზულებების დედნისეული ტექსტის არც ერთი პატარა ნაფლეთი კაცობრიობას არ მოეპოვება, ხოლო შექსპირის სახელით არსებული თხზულებების ავტორის ვინაობა დღემდე საკამათოა.

დიდ რუსთველს რეალურ გადამრჩენად მოევლინა მეფე ვახტანგ VI, რომელმაც 1712 წელს, თბილისში, თავის მიერვე დაარსებულ სტამბაში, ბიბლიის შემდეგ გამოსცა „**ვეფხისტყაოსანი**“. ვახტანგ VI-ს ღვაწლი არა მარტო პოემის გამოცემაშია, არამედ თავის ხელთ არსებული ხელნაწერების შესწავლაშიც, რამაც მას საშუალება მისცა განეზოგადებინა ეს ყველაფერი და შემდეგ პოემა ერთ ვარიანტად დაესტამბა. რუსთველოლოგია, როგორც სამეცნიერო დარგი, სათავეს სწორედ ვახტანგ VI-დან იღებს, რადგან ქართველმა მეფემ პოემის გამოქვეყნებულ ტექსტს საკუთარი გამოკვლევა და ცალკეულ სიტყვათა განმარტებები დაურთო. ეს საქმე XIX საუკუნეში გააგრძელა თეიმურაზ ბატონიშვილმა, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ს ვაჟმა. პეტერბურგში ყოფნის პერიოდში მან მარი ბროსესთან ერთად იმუშავა ტექსტზე და საკუთარი განმარტებები 1843 წელს იქვე წიგნად გამოსცა.

იქიდან მოყოლებული დღემდე, სათანადო დარგის თითქმის ყველა დიდ მეცნიერს თავისი წვლილი შეაქვს „**ვეფხისტყაოსნის**“ შესწავლისა და უკვდავყოფის საქმეში, მაგრამ ტექსტის განმარტების თვალსაზრისით აღსანიშნავია XX საუკუნეში ჯერ აკაკი შანიძის გამორჩეულად დიდი ღვაწლი, რომელმაც „**ვეფხისტყაოსნის**“ გამოცემას განმარტებითი ლექსიკონი დაურთო, ხოლო შემდეგ, ნოდარ ნათაძის ფასდაუდებელი შრომა, რომელმაც ალექსი ჭინჭარაულთან ერთად განმარტა პოემის თითქმის ყოველი პჭკარი და 1974 წელს ეს წიგნად გამოსცა.

ფრიად საყურადღებოა, რომ წინა საუკუნის 50-იან წლებში ქართველ რუსთველოლოგთა დიდ კოჰორტას ემიგრაციიდან გაბედულად გადმოსძახებს ვიქტორ ნოზაძე, რომლის მრავალტომეული ავთანდილ მერაბიშვილის თანადგომითა და მეცენატობით გამოიცემოდა. რაც შეეხება ჩვენს თანამედროვეობას, XXI საუკუნე განსაკუთრებული მიგნებით აღინიშნა, რადგან ელგუჯა ხინთიბიძე მეცნიერულად დაასაბუთებს, რომ „**ვეფხისტყაოსნის**“ ფაბულა მოიძებნება, როგორც შექსპირის, ასევე მის თანამედროვე დრამატურგთა შემოქმედებაში.

თუ გულდასმით გადავავლებთ თვალს ამ აურაცხელი რაოდენობის შრომებს, დაწყებული ვახტანგ VI-დან, დღევანდელი მდგომარეობის ჩათვლით, აშკარა ხდება, რომ რუსთველოლოგიურ კვლევებში კიდევ მრავალი თეორი ლაქაა, როგორც პოეტის ვინაობის დადგენის, ასევე თავად ტექსტის ინტერპრეტაციის თვალსაზრისით.

წინამდებარე წერილის მიზანია, სინათლე შევიტანოთ საკითხში, თუ როგორ უნდა მოვიხსენიებდეთ „**ვეფხისტყაოსნის**“ ავტორს: **შოთა რუსთაველი, შოთა რუსთველი**, თუ მხოლოდ **რუსთველი**. ეს უკანასკნელი გახლავთ ის ერთადერთი ფორმა, რომლითაც პოეტი წარმოგვიდგენს საკუთარ თავს პოემის პროლოგსა და ეპილოგში:

„დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულს ლახვარ-სობილი.“ (სტრ. 7)

„მე, რუსთველი ხელობითა, ვიქმ საქმესა ამა დარი.“ (სტრ. 8)

„ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა.“ (სტრ. 1665)

„ტარიელ – მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრომელსა.“ (სტრ. 1669)

სტატიაში რუსთველის ტექსტი ყველგან ციტირებულია თანახმად ალ. ბარამიძის, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის რედაქციით 1957 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსნისა“, რომელიც განსაკუთრებული სანდოობით არის ცნობილი.

ცნობა იმის შესახებ, რომ რუსთველს სახელად ერქვა შოთა, მკვიდრდება თეიმურაზ I-ის მიერ, რომელმაც 1629 წელს ბრძანა – „**ესენი შოთა რუსთველმან შეამკო არსთა მკობითა**“. კორნელი კეკელიძის მიხედვით, ეს ცნობა თეიმურაზ I-ს უნდა მიეღო მასთან დაახლოებული პირის, ნიკოლოზ (ნიკიფორე) ჩოლოყაშვილისგან, რომელიც 1614-1626 წლებში იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ცხოვრობდა, ხოლო მოგვიანებით ამ მონასტრის წინამძღვარი იყო. როგორც ჩანს, ნ. ჩოლოყაშვილმა შეიტყო, რომ ჯვრის მონასტრის ქართული „**სვინაქსარის**“ აღაპთა შორის მოხსენიებულია შოთა მეჯურჭლეთუხუცესი, რამაც ეს ფაქტი მას დაკავშირებინა იმ ცნობილ თქმულებასთან, რომ რუსთველი იყო მეჯურჭლეთუხუცესი. ამდენად, მან დაასკვნა, რომ „**სვინაქსარში**“ ნახსენები შოთა მეჯურჭლეთუხუცესი არის რუსთველი.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ჯვრის მონასტერში ჩადის თავისი დროის საუკეთესო მღვდელმთავარი ტიმოთე გაბაშვილი. მან პირველმა ჩამოიტანა საქართველოში ზემოაღნიშნული ფაქტების მწირი, მაგრამ წერილობითი აღწერა, რამაც კიდევ უფრო გაამყარა „**რუსთველთან**“ ერთად „**შოთას**“ ხმარების საუკუნოვანი ტრადიცია.

XX საუკუნეში მეცნიერები მსჯელობენ ამ ცნობაზე და ენდობიან მას. აი, როგორ აღწერს ამ ფაქტს ისევ კორნელი კეკელიძე 1958 წელს „ძველი ქართული ლიტერატურის“ ორტომეულში: „**მონასტრის სვეტზე, ... გამოხატულია მაქსიმე აღმსარებელი და იოანე დამასკელი, რომელთა წინაშე მუხლი მოუყრია ერთ დიდებულ ქართველს, წარწერით: „ამისა დამხატავსა შეუნდოს ღმერთმან ამინ.“ ეს წარწერა სურათის მარცხენა მხარეზეა, ხოლო მარჯვენაზე, ალბათ, ქართველის ვინაობის გასარკვევად, მიწერილია: „შოთა რუსთველი“**.

ტიმოთე გაბაშვილს მიაჩნდა, რომ ჯვრის მონასტერი რუსთველის მიერ იყო მოხატული და მას მადლიერებით მოიხსენიებდა, რაც გაკვირვებას იწვევდა ქართველულ საზოგადოებაში იმ თვალსაზრისით, რომ მიტროპოლიტი რუსთველს „**ლექსთა ბოროტთა მთქმელად და ქრისტიანობის გამრყვნელად**“ რაცხავდა.

ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘ ᲛᲘᲮᲐᲘ ᲖᲘᲠᲘ

როგორც გადმოცემითაა ცნობილი, რუსთველისადმი უარყოფითი დამოკიდებულება XVIII საუკუნეშივე გაუგრძელებია ანტონ I კათალიკოსს, თუმა, ეს მისი თხზულებებით არ დასტურდება. ქართველი მეცნიერი, მწერალი და საეკლესიო მოღვაწე ანტონ I ჩვენთვის, ამჯერად, საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ სწორედ მან მისცა დასაბამი „**რუსთველის**“ ნაცვლად პოეტის „**რუსთაველად**“ მოხსენიებას, რასაც წინა საუკუნის 80-იან წლებში განსაკუთრებით მკაცრი შეფასება მისცა აკაკი შანიძემ: „**კათალიკოსი არ კუმშავდა ზოგიერთ სახელს, მაგალითად... წილკანი სოფელია მცხეთის ახლოს, ეს სახელი ძველადაც იკუმშებოდა და ახლაც იკუმშება: წილკნისა, წილკნელი, მაგრამ კათალიკოსს უწერია: „მამისა ჩუენისა ისე წილკანის ეპისკოპოსისა“; შოთასადმი მიძღვნილ იამბიკოში ის წერს: „თვის შოთა რუსთაველისა“, აი სად არის სათავე ჩვენი უდიდესი პოეტის ვინაობის სახელის შერყვნისა! ეს ანტონის მიერ შექმნილი ფორმა შემდეგში ზოგმა გაიზიარა და ქართულ მწერლობაში რუსთველის გვერდით რუსთაველი-ც გაჩნდა, გავრცელდა და შემდეგ დამკვიდრდა.**“

ამ საკითხში მხცოვან მეცნიერს მალე-ვე მხარში ამოუდგა დარგის არაერთი ავტორიტეტი, მაგრამ მათი მოთხოვნა გაისმა მხოლოდ ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. ჩანს, ქართველი მეცნიერები ვერ უმკლავდებოდნენ დამკვიდრებული ტრადიციების წნეხს. „**რუსთველის**“ ნაცვლად ფორმა „**რუსთაველის**“ დამკვიდრებამ კიდევ უფრო განამტკიცა რწმენა იმის შესახებ, რომ „**ვეფხისტყაოსნის**“ ავტორის სახელი რუსთავთან იყო დაკავშირებული.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ 1960 წელს ჯვრის მონასტერს საგანგებოდ ეწვია ქართული ექსპედიცია სამი აკადემიკოსის, ირაკლი აბაშიძის, აკაკი შანიძისა და გიორგი წერეთლის შემადგენლობით, რომელთაც საქართველოში ჩამოიტანეს ფრესკისა და წარწერის ზუსტი ფოტოები. ეს მასალა დღემდე უაღრესად მნიშვნელოვან საყრდენს წარმოადგენს პოეტის სახელის დასადგენად. ა. შანიძემ გაშიფრა რა ასომთავრულით შესრულებული წარწერა, გვამცნო შემდეგი ტექსტი: „**ამისა დამხატავსა შოთა(ს) შეუნდვნეს ღმერთმან ამინ**“, სადაც ქვემოთ ქარაგმითვე მიწერილია „**რუსთველი**“.

ასომთავრულით შესრულებულ ტექსტში „**შოთა**“ სახელოგით ბრუნვაშია და მას მიცემითი ბრუნვის პირის ნიშანი „ს“ არ ახლავს. მეცნიერებმა ივარაუდეს, რომ თავდაპირველად იქ ეს ასო იქნებოდა, მაგრამ დროის მანძილზე დაზიანდა და გაქრა. ამიტომაც წარწერის გამოქვეყნებისას ასო „**ს**“ განათავსეს ფრჩხილებში. იმ შემთხვევაშიც, თუ ჩვენ პირის ნიშანს დავუშვებთ, წინადადების წყობა შემდეგს ამბობს: **რუსთველი, ან ვინმე სხვა, ღმერთს სთხოვს, შეუნდოს ვინმე შოთას, როგორც ამ ფრესკის მომხატველს.** მომხატველში შეგვიძლია ვიგულისხმოთ არა მარტო მხატვარი, არამედ ისიც, ვინც, შესაძლოა, დაუკვეთა მოხატვა და ამისათვის გარკვეული თანხაც გაიღო.

გვმართებს გავაცნობიეროთ, რაოდენ დიდი გარღვევა მოახდინა და, იმედია, კიდევ მოახდენს, 1960 წლის ექსპედიციამ: თუ ფრესკის ირგვლივ საქართველოში იმ დროისთვის არსებული ცოდნა გულისხმობდა „**შოთას**“ განთავსებას „**რუსთველის**“ გვერდით, გამოვლინდა, რომ ეს ორი სახელი ერთმანეთისგან განცალკევებითაა მოხსენიებული. **აი, სწორედ ამ ფაქტში დევს ის მთავარი გასაღები, რომელსაც შეუძლია სინათლე მოჰფინოს ჩვენთვის ესოდენ მნიშვნელოვან საკითხს.**

დავუშვათ, რომ „**შოთა მეჯურჭლეთუხუცესი**“ არის რუსთველი. რატომ მოხდა, რომ ფრესკასთან არსებულ წარწერაზე სახელები „**შოთა**“ და „**რუსთველი**“ ერთმანეთისგან დაშორებით აღმოჩნდა განთავსებული, თან განსხვავებული სინტაქსური ფუნქციით?

თუ ტექსტის ავტორი თავად რუსთველია, ეს ნიშნავს, რომ კვალის დატოვების მიზნით მან მიაწერა თავისი ზედსახელი, ან მიგვანიშნა იმაზე, რომ ფრესკაზე თავადაა გამოსახული. ორივე შემთხვევაში აშკარა ხდება ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: **იმხანად ზედსახელი „რუსთველი“ პოეტის საკუთარ სახელთან ერთად არ მოიხსენიებოდა.**

ივივე დასკვნა გამოიკვეთება იმ შემთხვევაშიც, თუ „**შოთა მეჯურჭლეთუხუცესი**“ არ არის რუსთველი, მაგრამ არის ის პიროვნება, რომელმაც მოხატა ან მოახატვინა სვეტი. მაშინ ტექსტთან სადავო აღარაფერი გვექნება, რადგან სახელს „**შოთა**“ რუსთველს ვეღარ მივაკუთვნებთ.

მაგრამ, ერთი შეკითხვა მაინც დაისმის: ამ შინაარსის ტექსტის ფონზე სახელი „**შოთა**“ რუსთველს რატომ მიაკუთვნეს? რუსთველოლოგიაში ეს და მრავალი სხვა შეკითხვა დღეს პასუხგაუცემელია. ამას ისიც ემატება, რომ ფრესკისა და წარწერის ავთენტურობა დღემდე დადგენილი არ არის.

ლეგენდები და თქმულებები საკმარისი არგუმენტი არ არის, რომ მეცნერული აზრი მათ დავუმორჩილოთ, მით უმეტეს, რომ რუსთველის შემთხვევაში ვერსიები ერთსა და იმავე საკითხზე არასოდეს ემთხვევა, მაგალითად, ჩავიდა თუ არა პოეტი იერუსალიმში, აღეკვეცა თუ არა ბერად, აღესრულა თუ არა იქ, იყო თუ არა მეჯურჭლეთუხუცესი და სხვა. ისიც აუცილებლად ვთქვათ, რომ ეს ლეგენდები არასოდეს გვაწვდიდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ „**ვეფხისტყაოსნის**“ ავტორს სახელად ერქვა „**შოთა**“.

ამ ყოველივეს ფონზე იქმნება შთაბეჭდილება, რომ 1960 წელს იერუსალიმის ექსპედიციის შედეგად მიღებულმა ცნობამ, შესაძლოა, ისევ გარკვეული წნეხის, ვნებავთ, გამყარებული ტრადიციის პატივისცემის გამო, ქართველ მეცნიერებს თავი შეაკავებინა, ზედმეტი კითხვებითა და ჩაღრმავებით ეჭვის ქვეშ არ დაეყენებინათ „**რუსთველთან**“ ერთად სახელი „**შოთას**“ მოხსენიების სულ მცირე სამსაუკუნოვანი ტრადიცია.

მაგრამ მაინც ისმის კითხვა: თუ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ფრესკაზე ასომთავრულით შესრულებული წარწერა სანდო მოცემულობად მიიჩნიეს, რატომ იწამეს იქიდან შედარებით საკამათო, საკუთრივ, სახელი **„შოთა“**, ხოლო იქვე არსებულ სახელზე **„რუსთველი“** თვალი დახუჭეს და ის მაინც **„რუსთაველად“** დავამკვიდრეთ?

მიმაჩნია, რომ **დღეს ამ საკითხის დაყენება არც ნაადრევია და არც დაგვიანებული.** თუ აზრი მომწიფდა და ფაქტი ჯუტია, ჩვენ გაბედული ნაბიჯის გადადგმა გვმართებს, რომ მეცნიერული აზრი სწორ კალაპოტში მოვაქციოთ და ერთი შეცდომა მეორე შეცდომით არ ჩავანაცვლოთ.

საკითხის გარკვევისას, საყრდენ მასალად მოვიხმობ მხოლოდ **„ვეფხისტყაოსნის“** ტექსტს, სადაც სახელი **„შოთა“,** მოგეხსენებათ, საერთოდ არ გვხვდება, მაგრამ პროლოგსა და ეპილოგში პოეტი ოთხჯერ წარმოგვიდგენს თავს, როგორც **„რუსთველი“.** ნებისმიერი პოეტის კვლევისას, სწორედ მისი ტექსტი გვევლინება ხოლმე ყველაზე სანდო წყაროდ სადავო საკითხების გადასაწყვეტად. ასეთ სადავო საკითხად, მრავალთა შორის, გახლავთ პროლოგის მე-8 სტროფი:

მე, რუსთველი ხელობითა, ვიქმ საქმესა ამა დარი:
ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი;
დავუძლურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი,
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი.

მოვუსმინოთ პირველ რუსთველოლოგს, ვახტანგ VI-ს, რომელიც პოემასთან ერთად დასტამბულ გამოკვლევაში სიტყვას **„ხელობითა“** განმარტავს, როგორც პოეტის სამსახურს თამარ მეფისათვის: **„აწ ამმობს მე რუსთველი ბატონის სამსახურისათვის რომ ხელი ვარ“.** რაც შეეხება მნიშვნელობას სიტყვისა **„ვხელობ“**, მან ის წარმოადგინა, როგორც გონის წართმევა და ჭკუიდან შეშლა, და საილუსტრაციოდ შემოგვთავაზა ფრაზა **„მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი“,** სადაც **„ვხელობ“** განმარტებულია ერთი სიტყვით – **„ვირევი“**.

ამ დამოკიდებულების პარალელურად არაერთი მკვლევარი, მაგალითად, ვიქტორ ნოზაძე და ნოდარ ნათაძე, მიიჩნევს, რომ მე-8 სტროფში, ორივე შემთხვევაში, იქნება ეს **„ხელობითა“** თუ „ვხელობ“, რუსთველი მხოლოდ მიჯნურის გაშმაგებასა და გახელებას გულისხმობს.

ეჭვგარეშეა, რომ ქართულ ენაში **„ხელობა“** საქმიანობასაც ნიშნავს და გაშმაგებასაც, მაგრამ, რუსთველოლოგები ვერ თანხმდებიან იმაზე, თუ რომელი მნიშვნელობით ხმარობს პოეტი აქ სიტყვებს **„ხელობითა“** და **„ვხელობ“.** ამ შემთხვევაში საქმე უფრო რთულად და საგულისყუროცაა!

ზემოაღნიშნულ სტროფში, ხელობის ცნების გარკვევის თვალსაზრისით, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის კონტექსტი, რომელშიც პოეტი ხმარობს **„ხელობისა“** და **„გახელების“** ცნებებს, რაც არის მთავარი გასაღები მათი მნიშვნელობების დასადგენად. ეს კონტექსტი კი გახლავთ თავად პროლოგის მთლიანი შინაარსი, რომელიც ლექსის თეორიისა და მიჯნურობის თემისადმია მიძღვნილი. ნუ დაგვავიწყდება, რომ რუსთველი დიდი პოეტია და **„ხელობაში“** ის უპირველესად პოეტურ ხელოვნებას იგულისხმებდა. ამიტომაც იტყვის: **„აწ ენა მინდა გამოთქმად, გული და ხელოვანება“** (სტრ. 6). **„ხელოვანება“** ამ შემთხვევაში სხვა არაფერია, თუ არა ავტორის პოეტური ხელოვნება. **„მე, რუსთველი ხელობითა“ გულისხმობს იმას, რომ რუსთველი პოეტია და პოეტობაა მისი მთავარი ხელობაცა და საქმეც, ხოლო პროლოგში მის მიერ წარმოდგენილი სამი ლექსის თეორიის თანახმად, „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსი ეპოსი დიდ ხელოვნებადაა გამოცხადებული.**

ამიტომაც გვმართებს, სწორად გავიგოთ პროლოგისეული აფორიზმი – **„გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი“** (სტრ. 12). სამწუხაროდ, ზოგიერთი მკითხველი უსმენს პწკარის პირველ ნაწილს და ყურადღებას არ აქცევს მის მეორე ნაწილს, საკუთრივ, ფრაზას – **„შაირია ამად კარგი“.** რუსთველს სურს გვითხრას, რომ შაირი ანუ ლექსი იმითია კარგი, რომ დიდ სათქმელს მოკლედ გათქმევინებს. ლექსი ხომ სიტყვათა განსაკუთრებული შერწყმით უდიდესი შინაარსის გამომხატველად გვევლინება, როდესაც იგივე შინაარსობრივი და ემოციური ტევადობის ინფორმაციის გადმოცემას პროზაში მრავალი პასაჟი და გვერდიც არ ეყოფოდა. ასეთი მკითხველი უგულებელყოფს პროლოგში მოქცეულ ლექსის ავტორისეულ თეორიას, სადაც გრძელი ლექსის თქმის უნარი პოეტური ხელოვნების მწვერვალადაა გამოცხადებული – **„მართ აგრევე მელექსესა – ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“** (სტრ. 13), ან თუნდაც **„მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“** (სტრ. 17).

როგორც პროლოგის მე-5 სტროფი მოწმობს, რუსთველი სამეფო კართანაა დაახლოებული და ეს სწორედ მას, რომლისთვისაც მთავარი საქმე პოეტობაა, უბრძანეს ტკბილი ლექსების თქმა: **„მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა“**. მე-8 სტროფის ფრაზა – **„მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი“,** სწორედაც რომ კარის პოეტის სამსახურს, ან თამარ მეფისადმი მის, როგორც პოეტის, პირად თავდადებას გულისხმობს. ამას გვიდასტურებს ის პწკარი, სადაც რუსთველი საკუთარ თავს რიგითი ჯარისკაცების ფონზე განიხილავს და ამით, ფაქტობრივად, თავის მდგომარეობას ამ ჯარისკაცების სამსახურს ადარებს: **„ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი.“** ეს საშუალებას გვაძლევს, ზმნაში **„ვხელობ“** შემდეგი მნიშვნელობების არსებობა შევნიშნოთ: 1. პოეტის, როგორც ხელოვნის საქმიანობა და მოქმედება; 2. პოეტის მეფის სამსახურში ყოფნა.

რაც შეეხება რუსთველოლოგთა მიერ „ხელობის“ განსაზღვრას, როგორც **„გახელებას“,** ანუ **„გაგიჟებას“**, ეს შემთხვევით არ მოხდა: სტროფის მესამე და მეოთხე პწკარებში პირველად შემოიჭრება თამარ მეფესთან გამიჯნურების თემა, რომელიც ჯერ პროლოგს, ხოლო შემდეგ მთელ პოემას ასხივოსნებს: **„დავუძლურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი...“.** ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ თავად სიტყვა „მიჯნური“ შმაგსა და გადარეულს ნიშნავს – **„მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა“** (სტრ. 22).

თამარ მეფისადმი გამიჯნურების ეს შინაარსი კიდევ უფრო ძლიერდება მომდევნო სტროფებში:

თვალთა, მისგან უნათლოთა, ენატრამცა ახლად ჩენა;
აჰა, გული გამიჯნურდა, მიჰხვდომია ველთა რბენა!
(სტრ. 10)

იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია;
მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია.
(სტრ. 19)

ამიტომაც საკვირველი არაფერია იმაში, თუ თამარ მეფის ხანაში, და შემდგომაც, ამ კადნიერებას პოეტს არ აპატიებდნენ. ჩემი აზრით, უპირველესად, ამას არ აპატიებდა თავად თამარ მეფე, რომელსაც უბრძანებია **„თქმა ლექსებისა ტკბილისა“**, და რომელმაც ამის საპასუხოდ გამიჯნურების მგზნებარე სტრიქონები ჩაიბარა.

კონტექსტის ფარგლებში, მე-8 სტროფში ნახმარ ზმნას **„ვხელობ“** სტროფის მეორე ნაწილიდან **(„დავუძლურდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი...“)** მიადგება მიჯნურის გაშმაგების ელვარე სხივი, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ქართულ ენაში ამ სიტყვას ეს მნიშვნელობა გააჩნია. ამგვარად, ეს შინაარსი იძენს დამატებით ანუ კონოტაციურ დატვირთვას, რაც ემოციურად საგრძნობლად ამდიდრებს სტროფს. კონოტაცია, როგორც ასეთი, ნაკლებად ახლავს აკადემიურ ტექსტს, მაგრამ მხატვრული ტექსტისთვის – ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. უფრო მეტიც, **კონოტაცია** პოეზიის მუდმივი თანამგზავრია და თავისი იდუმალი შინაარსით ტექსტს სწორედ ის აქცევს ლექსად. გაშმაგების კონოტაცია აღმოჩნდება ის შინაარსობრივი რგოლი, რომელიც აკავშირებს სტროფის ორ ნაწილს და შეკრავს მას, როგორც ერთ მთლიანს. ამ მოვლენას ტექსტის ლინგვისტიკაში კოჰეზია (ლათ. ცოჰაესუს – შეჭიდულობა) ეწოდება.

როგორც ზემოთ წარმოდგენილმა ანალიზმა დაგვარწმუნა, ზმნას „ვხელობ“ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩამოუყალიბდა **სამი** მნიშვნელობა, რომელთაგან პირველი ორი – პოეტის საქმიანობა და მისი სამსახური – წამყვანია, ხოლო **მესამე**, როგორც მიჯნურის გახელება – კონოტაციური ანუ დამატებითია, თუმც ფრიად მნიშვნელოვანი.

არსებითი სახელის შემთხვევაში – **„მე, რუსთველი ხელობითა“,** სიტყვა **„ხელობა“** მედიდურად ინარჩუნებს პოეტის ხელობის მნიშვნელობას, ხოლო ზმნა **„ვხელობ“** უკვე სამი მნიშვნელობით ამუშავდება: 1. პოეტის, როგორც ხელოვანის საქმიანობა და მოქმედება; 2. პოეტის მეფის სამსახურში ყოფნა; 3. პოეტის, როგორც მიჯნურის გახელება. ასე და ამგვარად, პოლისემანტური ანუ მრავალმნიშვნელიანი ზმნა **„ვხელობ“** ერთდროულად სამი მნიშვნელობით, ვითარცა ალმასის სამი წახნაგით აელვარდა, რათა კიდევ უფრო გაამდიდროს პოემის მხატვრული პალიტრის პოლიფონიურობა.

სიტყვის პოლისემანტურობა – ეს ენის მხოლოდ ის სიმდიდრე როდია, როდესაც სიტყვაში მრავალი მნიშვნელობა გეძლევა და იქიდან ერთს ამოირჩევ. სიტყვის პოლისემანტურობა – ეს ის სიმდიდრეა, რომელიც მხატვრულ ტექსტში, და განსაკუთრებით პოეზიაში, რამდენიმე მნიშვნელობის ერთდროული მოქმედების მოწმეს გაგხდის და ამით ლექსის განუმეორებელ მშვენიერებასა და სიძლიერეს განგაცდევინებს.

ფაქტია, რომ რუსთველოლოგები, დაწყებული ვახტანგ VI-დან, გრძნობენ ზემოაღნიშნულ მნიშვნელობათა არსებობას სტროფში, მაგრამ მაინც მონდომებით ცდილობენ, სიტყვის ხმარება ტექსტში ერთ კონკრეტულ მნიშვნელობაზე დაიყვანონ. ისმის კითხვა: რატომ? აქ პასუხი ერთი და მარტივია: იმ ხანად, ფილოლოგია, როგორც მეცნიერული დარგი ჯერ არი იყო შეიარაღებული იმ მეთოდოლოგიით, რომლითაც ჩვენ წინამდებარე ანალიზი წარმოვადგინეთ. სემასიოლოგიამ, კონტექსტოლოგიამ თუ ტექსტის ლინგვისტიკამ განვითარება ჰპოვეს ძირითადად XX საუკუნის მეორე ნახევარში და შემდგომ. ეს კი დღეს გვავალდებულებს, რომ მეცნიერების თანამედროვე მიღწევები და ხედვა გაბედულად და მართებულად გამოვიყენოთ კვლევაში, მით უმეტეს, პოეზიის ისეთი მწვერვალის მიმართ, როგორიც რუსთველმა შემოგვთავაზა. როგორც მაქს ვებერი ბრძანებდა, ხელოვნების მაღალი ნიმუშის ღირებულება სწორუპოვარია ყველა დროში, მაგრამ მეცნიერულ აზრს მუდმივი განვითარება და განახლება სჭირდება.

გადავიდეთ ეპილოგზე, რომელიც იწყება შემდეგით:

1665
გასრულდა მათი ამმავი ვითა სიზმარი ღამისა.
გარდახდეს, გავლეს სოფელი, –
ნახეთ სიმუხთლე უამისა! –
ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა.
ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა.

ამ სტროფის თანახმად, ეჭვგარეშეა, რომ პოეტი წარმოშობით მესხი მელექსეა, ხოლო ეს ყველაფერი მან შექმნა, როგორც პოეტმა, რომელიც რუსთველის სახელითაა ცნობილი – „მე რუსთველისად ამისა“. იმასაც მივაქციოთ ყურადღება, რომ ყველა შემთხვევაში, სადაც რუსთველი საკუთარ თავს ასახელებს, ეს ისევ მის პოეტობასთან არის შერწყმული და დაკავშირებული.

განვიხილოთ ეპილოგის დასკვნითი სტროფი:

1669
ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა,
აბდულ-მესია – შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,
დილარგეთ – სარგის თმოგველსა, მას ენა-დაუშრომელსა,
ტარიელ – მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრომელსა.

დღესავით ნათელია, რომ აქ რუსთველი წარმოჩინდება, როგორც ერთ-ერთი თავის თანამედროვე წამყვან მწერალთა და პოეტთა შორის. პოეტი ოთხ ავტორს ასახელებს: მოსე ხონელს, იოანე შავთელს, სარგის თმოგველსა და რუსთველს ანუ საკუთარ თავს. აქედან ორი წარმოდგენილია სახელითა და გვარით, ხოლო შავთელი და რუსთველი – საკუთარი სახელის გარეშეა. შავთელისადმი მიძღვნილი პწკარი რუსთველისებურად ტევადი და მოქნილია, მაგრამ, ჩანს, მისი სახელი – **იოანე** – თექვსმეტმარცვლიანმა პწკარმაც ვეღარ დაიტია. რა ახსნა მოეძებნება მეოთხე პწკარს, სადაც მეტრული ტევადობის ფარგლებში, ნაცვლად ნაცვალსახელისა **„მისსა“**, ავტორს თავისუფლად შეეძლო ეხმარა სახელი **„შოთა“** და სტრიქონიც პოეტისთვის საკადრის ფორმას შეინარჩუნებდა: **„ტარიელ – შოთა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრომელსა“?** მაგრამ, ეს ხომ პოეტს არ გაუკეთებია?! აი, კიდევ ერთი საბუთი იმისა, რომ **„ვეფხისტყაოსნის“** ავტორის სახელი შოთაც რომ იყოს, ის თავს წარმოგვიდგენს მხოლოდ და მხოლოდ, როგორც **„რუსთველს“**. აქედან გამომდინარე, ამჯერად, აზრს კარგავს მსჯელობა იმაზე, ზედსახელი „რუსთველი“ ქალაქ ან დაბა რუსთავთან არის დაკავშირებული, თუ არა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გვაქვს საფუძველი დავასკვნათ, რომ **„რუსთველი“** – **„ვეფხისტყაოსნის“** ავტორის ლიტერატურული ფსევდონიმია, რომელიც მის პოეტობას გულისხმობს და არ საჭიროებს მშობლიური გვარის, ან საკუთარი სახელის მოხსენიებას. ხოლო, თუ ეს ასეა, მაშინ **„რუსთველის“** ეტიმოლოგია ჯერ კიდევ დასადგენია, რაც, ბუნებრივია, შემდგომ კვლევას მოითხოვს. ამასთანავე, ისევ დასკვნის სახით, ვაცხადებ, რომ რუსთველის ირგვლივ არსებული ცოდნის დღევანდელი მდგომარეობით, არ გამოვრიცხავ იმას, რომ პოეტი წარმოშობით რუსთავიდან იყო, მით უმეტეს, თუ მესხეთის რუსთავს ვიგულისხმებთ. **ასევე არ გამოვრიცხავ იმას, რომ პოეტს მართლაც ერქვა სახელად შოთა. დღეს მე, როგორც მეცნიერს, არც ამის უარყოფის მიზანი მაქვს და არც საფუძველი.**

ანტიკური ტრადიციის თანახმად, „ილიადასა“ და „ოდისეასა“ ავტორს დამადებისთანავე სახელად დაარქვეს **მელესიგენესი**, რაც ნიშნავს მდინარე მელეს ვაჟიშვილს, რადგან მომავალი პოეტის დედამ მდინარე მელესის ნაპირზე იმშობიარა. მიუხედავად ამისა, კაცობრიობა მას მოიხსენიებს არა საკუთარი სახელით, არამედ ზედსახელით – **„ჰომეროსი“**, რომლის წარმოშობა დღემდე დაუდგენელია.

დასასრულ, დავუბრუნდები ისევ მე-8 სტროფს, რომლის მრავალჯერადი წაკითხვისას გამუდმებით ჩამესმოდა ყურში სახელი **„თამარი“.** მოგეხსენებათ, ამ სტროფში ეს სახელი ნახსენები არ არის, თუმცა მას ვხვდებით პროლოგის მე-3 და მე-4 სტროფებში: „**– მეფისა მზის თამარისა, ღაწვ-ბადახშ, თმაგიშერისა...** ჰ თამარს **ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული.“**

მაშ, რატომ ჩამესმოდა სტროფის კითხვისას სახელი **„თამარი“?** იქნებ იმიტომ, რომ სტროფის ოთხივე პწკარი ბოლოვდება სამ ბგერაზე „არი“, ისევე, როგორც სახელი „თამარი“? მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, არა მხოლოდ ამიტომ! როგორც კი უფრო დაკვირვებული თვალით ჩავხედე სტროფს, მივხვდი, რომ **„თამარი“** ცალკეულ მარცვლებად და ასო-ბგერებადაა ჩაქსოვილი სტროფში, როგორც კრიპტოგრამა, და ეს ხდება არა ერთხელ, არამედ სამჯერ, საკუთრივ, შემდეგნაირად:

მე, რუსთველი ხელობიმა, ვიქმ საქმესა ამა დარი:
ვის ჰმორჩილობს ჯარი სპამა, მისთვის ვხელობ, მისთვის მკვდარი;
დავუძლურდი, მიჯნურმათვის კვლა წამალი არსით არი,
ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი.

კრიპტოგრამა კარგად იყო ცნობილი შუა საუკუნეების აღმოსავლეთისა და დასავლეთისათვის. ეს გახლავთ ფარული ენა და კოდი, რომელიც ზედაპირზე არ ჩანს, მაგრამ საიდუმლო ინფორმაციას აუცილებლად შეიცავს. პოეტურ ტექსტში კრიპტოგრამა ქვეცნობიერად მოქმედებს მკითხველზე და ქმნის დამატებით შინაარსს, რომელიც მეტ სიღრმესა და ემოციურობას სძენს ტექსტს. საუკუნეებით დაცილებული ასეთი იდუმალი კოდი ჩვენს თანამედროვეობაში შეგვიძლია, მაგალითად, შევადაროთ კინოს ენაზე 25-ე კადრს.

დღეს ჩვენ არ ვიცით, ამოიცნო თუ არა ეს ფარული ნიშანი თამარ მეფემ, ან მისმა თანამედროვეობამ, მაგრამ ფაქტია, რომ პოეტმა ის საგანგებოდ ჩააქსოვა და ჩააწნა იმ სტრიქონებს, სადაც ყველაზე აშკარად გამოხატა თავისი მოვალეობა, თავდადება, სიმტკიცე და მგზნებარე გრძნობები.

იმასაც მივაქციოთ ყურადღება, რომ სტროფში სამჯერ ფარულად ნათქვამ **„თამარს“** წინ უძღვის ერთხელ ახდილად ნათქვამი **„რუსთველი“**, ვითარცა ფარი ამ იდუმალი სახელისა. ეჭვგარეშეა, პოეტის სურვილი და მიზანი იყო, რომ **მისი სახელი რუსთველად გადასცემოდა მემკვიდრეობას და ის აუცილებლად თამართან ყოფილიყო დაწყვილებული**. ეს უკანასკნელი სურვილი ქართველმა ერმა პოეტს შეუსრულა, რადგან, იწამა რა მისი დიდი გრძნობა, ამ სიყვარულით გასხივოსნებული **„მარგალიტი წყობილი“** ხელის გულზე ატარა და ჩვენამდე მოიტანა. რაც შეეხება პირველს, ანუ **„ვეფხისტყაოსნის“** ავტორის რუსთველად მოხსენიებას, როგორც პოემით გადმოცემულ მის წმიდათაწმიდა ანდერძს, აშკარაა, რომ მას სათანადოდ ვერ მოვუფრთხილდით და მასთან ჯერ ისევ ვალში ვართ.

თუ უფრო ობიექტურად და მკაცრად მივუდგებით საკითხს, უმჯობესია, ასეც ვთქვა: აგერ უკვე ოთხი საუკუნეა, რაც ანგარიშს ვუწევთ საზოგადოებაში დამკვიდრებულ იმ ტრადიციებს, რომელნიც ჩამოყალიბდა ისევ ჩვენი ხალხის – გამორჩეული საეკლესიო პირების, მწერლების, ჩვენი დიდი მეცნიერების და თავად ქართველ მეფეთა მოსაზრებათა კვალდაკვალ, რაც, უპირველესად, მათდამი პატივისცემასა და ნდობაზე მეტყველებს. მაგრამ, ფაქტია, რომ **ამ მნიშვნელოვან საკითხში ვერ ვუერთგულეთ თავად რუსთველს**, რომელმაც ყველაზე მაღალი და კაშკაშა მწვერვალი აღმართა საქართველოს კულტურის ისტორიაში.

◎ ტატამზე

ასეც ვიცოდით!..



სპორტის მოყვარულებს გული ჩაგვწყდა, როცა ტოკიოს ოლიმპიადის ფინალში დამარცხების შემდეგ კარიერის დასრულება საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების კაპიტანმა ვარლამ ლიპარტელიანმა გადაწყვიტა.

მართალია, ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი „ჯვაროსანი“ უკვე 33 წლისაა, მაგრამ მისი ნიჭის დამფასებლები იმედს არ ვკარგავდით, რომ ემოციური ფონით გადადგმულ სპონტანურ ნაბიჯს მომხდარის პრაგმატული განსჯა, ცივი გონების ზეიმი და თაობათა კერპის ტატამზე დაბრუნება მოჰყვებოდა.

ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი – როგორც შევიტყვეთ, „ლიპოს“ მეორედ მოსვლა სოფიაშია ნავარაუდევი, სადაც ევროპის ჩემპიონატი 29 აპრილიდან 1 მაისის ჩათვლით გაიმართება.

ცნობილი გახდა აგრეთვე, რომ პარალელურად ლიპარტელიანი კონსულტანტის ამპლუაშიც მოგვევლინება და პერიოდულად საჩვენებელ ვარჯიშებს ჩაატარებს როგორც ნიჭიერი მოზარდების, ისე მწვრთნელთათვის.

◎ დოჰიოზე

„ტოჩის“ ბაშო

ძართველმა სუმოისტმა ლევან გორგაძემ, იგივე ტოჩინოშინმა ტოკიოს სუპერტურნირის დასრულებამდე 4 დღით ადრე კაჩი-კოში (დადებითი ბალანსი) გაიფორმა.

მე-11 საშეჯიბრო დღეს „ტოჩი“, რომელიც მარტის ბაშოზე მე-15 მაეგაშირას წოდებით ასპარეზობს, მე-11 მაეგაშირა ტეროცუიოშის დაუპირისპირდა და ხანგრძლივ ბრძოლაში მარტივად დაამარცხა. ძიძგილაობა დაახლოებით 30 წამი გაგრძელდა, შეჯახების შემდეგ რამდენიმე წამში ორივემ მოახერხა მავაშიში ხელების ჩავლება, ბოლოს კი ტოჩინოშინმა მეტოქე ჰაერში აიტაცა, დოჰიოდან ეფექტურად გადაიყვანა და ცურიდაშით მოიგო.

◎ რინგზე

ლუკას გასარება

ცხრაწევრიანი დელეგაციით ჩაება საქართველოს 22-წლამდელ მოკრივეთა ნაკრები ხორვატულ ქალაქ პორეჩში გამართულ ევროპის ჩემპიონატში და მათგან ხუთი სამშობლოში მედლით დაბრუნდა (გუნდის მთავარი მწვრთნელი – თემურ ოჩიგავა, ექიმი – დავით შამათავა, მსაჯი – ედუარდ მარდანოვი.

„ოქრო“ – ლუკა კუბლაშვილი (48 კგ); **„ვერცხლი“** – ლექსო ხასაია (51 კგ); „ბრინჯაო“ – ელენე ლოლაძე (54 კგ), ლაშა გაგნიძე (63,5 კგ) და ლუკა მაჭუტაძე (80 კგ).

◎ წყალბურთი

რუსეთის ნაცვლად

წყალბურთის საერთაშორისო ფედერაციამ რუსეთისა და ბელარუსის ნაკრებები საერთაშორისო შეჯიბრებებიდან მოხსნა. ეს გადაწყვეტილება რუსეთის მიერ უკრაინაში შეჭრასთან დაკავშირებით მიიღო.

რუსეთის ნაცვლად 2023 წელს უნგრეთში გასამართავ წყალბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველო ითამაშებს. საქმე ის არის, რომ რუსეთმა მუნდიალზე ასპარეზობის უფლება 2020 წელს ევროპის ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგის (მე-8 ადგილი) გათვალისწინებით მოიპოვა. მეცხრე იყო გერმანია, რომელიც ასევე ითამაშებს მსოფლიოს ჩემპიონატზე.

საქართველოს ნაკრები კი ევროპის პირველობაზე მე-10 ადგილზე გავიდა. რადგან გერმანიას მუნდიალის საგზური მოპოვებული აქვს, იქ რუსეთის ნაცვლად საქართველო ითამაშებს.

◎ ხელბურთი

ელიტის ზღურბლთან

ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციამ რუსეთი და ბელარუსი საერთაშორისო შეჯიბრებებიდან მოხსნა. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე მათ საქართველო და ლუქსემბურგი ჩაანაცვლებენ.

ევროპის 2024 წლის ჩემპიონატის ფინალში, რომელსაც გერმანია უმასპინძლებს, მედლებისთვის 24 ნაკრები იასპარეზებს. ოთხი მათგანის ვინაობა ცნობილია: მასპინძელი გერმანია, მოქმედი ჩემპიონი შვედეთი, პრიზიორები – ესპანეთი და დანია. დანარჩენი 20 საგზურის მოსაპოვებლად წლეულს ოქტომბერში 32 გუნდი იბრძოლებს.

ისინი წილისყრით 8 ჯგუფში გადანაწილდებიან და თითოეულიდან ორორი უძლიერესი და მესამეადგილოსანთა შორის ოთხი საუკეთესო გერმანიაში გამგზავრების უფლებას მოიპოვებს. შესარჩევი ეტაპის წილისწყრა 31 მარტს გაიმართება.

◎ ლაქა

კანონი კანონია!

ორგზის ოლიმპიური და ქალთა ნბა-ს ჩემპიონი, აგრეთვე ეკატერინბურგის უგმკ-ას შემადგენლობაში ევროლიგის ოთხგზის გამარჯვებული ბრიტნი გრაინერი რუსულ კლუბში შვიდწლიანი შთამბეჭდავი თამაშის შემდეგ თებერვალში ნარკოტიკების კონტრაბანდის ფაქტზე დააკავეს – ნიუ იორკი-მოსკოვის რეისის შემდეგ მას ვნუკოვოს აეროპორტში ჰაშიშის ზეთი უპოვეს.

ურალელთა 31 წლის ლიდერის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე ხუთიდან ათ წლამდე სასჯელს ითვალისწინებს.

უკრაინის წინააღმდეგ ომში ჩაბმული ჩრდილოური მართლმსაჯულება რომ არ ხუმრობს, ამ დღეებში ტიტულოვანი ამერიკელი კალათბურთელისთვის კიდევ ორი თვით გაგრძელებული წინასწარი პატიმრობაც მოწმობს. სხვათა შორის, თანამემამულეს „ტვიტერში“ უკვე გამოესარჩლა ყოფილი სახელმწიფო მდივანი და პრეზიდენტობის კანდიდატი **ჰილარი კლინტონი** – „გაათავისუფლეთ ბრიტნი“! – მაგრამ ჯერჯერობით რეაქცია – 0.

◎ მთელი ხმით!

„კურსკის“ ცოდვა

უკვე გაუწყეთ, რომ დღეს 23 საათსა და 45 წუთზე ვილი სანიოლის გაწვრთნილი საქართველოს ეროვნული ნაკრები ქალაქ ზენიცაში სეზონის პირველ ამხანაგურ მატჩს ბოსნიასთან გამართავს და ამ მატჩის პირდაპირ ტელერეპორტაჟს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი შემოგთავაზებთ.

ამ საბედისწერო დღეებში ყველას როდი ეფეხბურთება. მათ შორისაა გამოჩენილი უკრაინელი მეკარე, იქაური მთავარი გუნდის თავკაცის თანაშემწე **ალექსანდრე შოვკოვსკი,** რომელმაც საკუთარ „ინსტაგრამში“ პირუთვნელად დაწერა:

„გრძელდება სამამულო ომი იმ ერის წინააღმდეგ, რომელსაც ჩვენი წინაპრები ძმურს უწოდებდნენ. რა კარგია, რომ მხოლოდ ორი ასეთი „ძმური ერი“ გვყავს.

რატომღაც გამახსენდა „კურსკის“ წყალქვეშა ნავის ისტორია. კარგად მახსოვს 2000 წლის 12 აგვისტოს მომხდარი ის ტრაგედია, მაგრამ ახლა სხვა რამის თქმა მსურს.

მაშინ ვერ მივხვდი, ქვეყნის ხელმძღვანელობამ პუტინის მეთაურობით რატომ თქვა უარი ჯერ ისევ ცოცხალი სამხედრო მეზღვაურების გადარჩენის შესაძლებლობაზე. მართლაც, რატომ მიჩქმალეს მაშინ ეს ფაქტი?

დაღუპულ მეზღვაურთა მშობლების უმრავლესობამ მაშინ სიმართლის გაგება და აღნიშნული ტრაგედიის შესახებ მთელი მსოფლიოსთვის მოყოლა სცადა, მაგრამ ისინი ძალით გააჩუმეს. ვისაც გსურთ, შეგიძლიათ ნახოთ რუსეთში აკრძალული ფილმი – „კურსკი“ – „წყალქვეშა ნავი მღვრიე წყალში“.

სწორედ იმ მომენტიდან დაიწყო თავისუფალი პრესის, აზრისა და სიტყვის თავისუფლების ტოტალური ტერორი, აგრეთვე ქვეყნის დემოკრატიული განვითარების მიმართულების დასასრულის დასაწყისი.

ეს არ იყო პირველი ნაბიჯი. მანამდე იყო დნესტრისპირეთის კონფლიქტი მოლდოვაში, ჩეჩნეთის პირველი და მეორე ომები.

ამას მოჰყვა აგვისტოს ომი საქართველოში, არაღიარებული ანკლავების შექმნა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ყირიმის ანექსია, ომი დონბასში, არაღიარებული დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკების შექმნა. თუმცა, ახლა მთავარია, რომ უკვე არსებობს სხვა ჩვევა არა მხოლოდ უკრაინელთათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის. კერძოდ, ყველაფერი, რაც უკავშირდება სიტყვა „რუსეთს“, ნიშნავს არაადამიანობას, ნაციზმს, ფაშიზმს, გენოციდს, ზიზღს...

გაუფრთხილდით საკუთარ თავსა და ახლობლებს. დიდება უკრაინასა და უკრაინელებს!“

◎ ყინულზე

მედლის კონტურები

ფიგურულ ციგურაობაში მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო და მოკლე პროგრამაში ლუკა ბერულავასა და კბრინა საფინას წყვილმა შესანიშნავად იასპარეზა.

ქართულმა დუეტმა მონპელიეში 67.36 ქულა დააგროვა, რაც მოკლე პროგრამაში მეოთხე შედეგი აღმოჩნდა, შესაბამისად, თავისუფალ პროგრამაში მონაწილეობის უფლებაცხ მიიღეს და მედლის მოპოვების შანსიც აქვთ, რადგან მხოლოდ სამ წყვილს ჩამორჩებიან.

აღსანიშნავია, რომ საფინა-ბერულავას დუეტმა ზამთრის ოლიმპიადაზე მეცხრე ადგილი დაიკავა, რაც ქართული ფიგურული ციგურაობისთვის სარეკორდო შედეგია.

აქვე გეტყვით, რომ მოკლე პროგრამაში ისრიალა **ანასტასია გუბანოვამ,** რომელმაც 62.59 ქულით მე-14 შედეგი აჩვენა და თავისუფალ პროგრამაში მონაწილეობის უფლება მიიღო, რომელიც დღეს გაიმართება.

◎ კორტზე

ნეკნის გამო

რაფაელ ნადალს ნეკნის სტრესული მოტეხილობა დაუდგინდა, რის გამოც ექვსი კვირა თამაშს ვერ შეძლებს. დიდი სლემის ტურნირების 21 ტიტულის მფლობელს მკერდის არეში ტკივილები ინდიან უელსის მასტერსის ფინალური შეხვედრის დროს დაეწყო.

შინ დაბრუნებულმა ჩოგბურთელმა ბარსელონაში თავის სამედიცინო გუნდს მიაკითხა, რომელმაც საგულდაგულო შემოწმების შემდეგ მარცხენა მხარეს მესამე ნეკნის სტრესული მოტეხილობის დიაგნოზი დაუსვა.

ნადალმა ეს ტრავმა თინეიჯერ თანამემამულე კარლოს ალკარასთან შეხვედრისას მიიღო, ტკივილები კი ფინალის წინ გაუძლიერდა, თუმცა კორტზე მაინც გავიდა. იქ კი ასევე ტრავმირებული ამერიკელი ტეილორ ფრიცი დახვდა, რომელმაც ესპანელის 20-მოგებიანი სერია შეწყვიტა.



საფრანგეთის ღია პირველობა, რომელიც ნადალს 13-ჯერ აქვს მოგებული, 22 მაისს დაიწყება და სავარაუდოდ, ესპანელი მასზე თამაშს შეძლებს.

◎ სად დაიბადეთ, ვინ გაგზარდათ?!

ბრიყვებს ტაში, კუკური!

აბა, მიდით, ჩაძოლეთ, ეს ტალანტიც, თქვე ბრიყვებო და არამზადებო!

მორიგი „მსხვერპლი“ ხვიჩა კვარაცხელია სამიზნედ აგირჩევიათ მთელი დუნიის გასაგონ-დასანახავად...

თურმე ხვიჩას მშობლებს ემუქრებით, ოჯახს, თქვე მართლა ნაძირლებო?!

ბასილაშვილი ხომ გაამწარეთ!?

თამრიკო გვერწითელი ხომ გაიმეტეთ!?. სულ ტყუილად, მხოლოდ ჭორებზე დაყრდნობით.

გავაგრძელო?..

იდიოტობის ტრადიცია კი გაქვთ:

თავის დროზე ლიანა ისაკაძე!..

ელისო ვირსალაძე!..

რობიკო სტურუას მოწამლვას დღემდე აგრძელებთ!..

ვინ და რა გზით გამოიყვანა — „პატრიოტის“ თქვენეული სამარცხვინო ჯიში?

სად დაიბადეთ!,

ვინ გაგზარდათ ასეთი ბრიყვები!

სად გასწავლეს და აგათვისებინეს ამდენი სიშტერე და სიბინძურე?!.

ბრიყვებს და ნაძირლებს

მქუხარე ტაში, კუკური!

ნუგზარ ფოფხაძე

„რუბინიდან კარგ მოსკოვურ კლუბშიც შეეძლო წასვლა და ევროპაშიც“ - კავაზაშვილი ხვიჩა კვარაცხელიას შესახებ

საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ნაკრების ყოფილმა მეკარემ, ანზორ კავაზაშვილმა ხვიჩა კვარაცხელიას შესახებ ისაუბრა. კავაზაშვილი მატჩ ტვ-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას გამოეხმაურა, რომლის მიხედვითაც, ხვიჩას ოჯახი ზეწოლის ქვეშ იყო და სანაკრებო პაუზის შემდეგ, მისი ყაზანურ კლუბში დაბრუნების შანსი ძალიან მცირე გახლდათ.

„ჩემთვის ეს აბსოლუტურად გაუგებარია. ვფიქრობ, საუბარი ერთეულ ადამიანებზე გვაქვს, რომლებსაც შეუძლიათ, ასე მოიქცნენ და სხვა ქვეყნებში მყოფი ქართველები შეაშინონ. ეს ნამდვილი დანაშაულია და ასე არ შეიძლება! დღესდღეობით, საქართველოში 30 000-ზე მეტი რუსი იმყოფება და გავიგე, რომ რამდენიმე რესტორანი ხულიგნობით არის დაკავებული და რუსების მომსახურებაზე უარს ამბობს, თუმცა ეს ერთეული შემთხვევები. დანარჩენი ქართველები ყველაფერს ადამიანურად უდგებიან და სჯიან მათ, ვინც მსგავს რაღაცებს წერს.

აღშფოთებული ვარ! ასე როგორ შეიძლება? ოჯახზე განხორციელებული მუქარა არა მხოლოდ სამარცხვინო ქმედებაა, არამედ ისინი, ვინც ასე იქცევიან, ციხეში უნდა მოხვდნენ. რუსების ქართველებთან დაპირისპირების მცდელობა და ქართველების რუსებთან დაპირისპირების მცდელობა ნამდვილი აბსურდია! ჩვენ მართმადიდებელი ხალხი ვართ და მთელი ცხოვრებაა ერთმანეთს მხარში ვუდგავართ.

გაიგეთ, რომ ამ მომენტში ხვიჩას კი არა, მის ოჯახსა და ნათესავებს ემუქრებიან. თუ კვარაცხელია საქართველოში არ დარჩება და რუბინში დაბრუნდება, შესაძლოა, მათ რაღაც დაემართოთ. ვფიქრობ, მას რუსეთის დატოვება მოუწევს და ეს რუბინისთვის, რომელიც რთულ მდგომარეობაში იმყოფება, ძლიერი დარტყმა იქნება. ხვიჩა კარგი ბიჭია და სამწუხაროა, ასეთ ასაკში უკანმოუხედავად გაქცევას რომ აიძულებენ, იქ, სადაც მას წასვლაც კი არ უნდა. რუსეთში იგი თავის ოსტატობას ანვითარებს და რუბინის შემდეგ კარი როგორც კარგ მოსკოვურ კლუბში, ისე ევროპაში ჰქონდა ღია. ძალიან სამწუხაროა, რომ ასე ხდება.“

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ, ცნობილმა იტალიელმა ჟურნალისტმა, ალფრედო პედულამ დაწერა: **კვარაცხელიას გადაბირება „ნაპოლის“ სურს და მას ლორენცო ინსინიეს შემცვლელად მოიაზრებს.**

მემორანდუმი ქარის ელექტროსადგურების წარმოების დაწყების შესახებ

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო — ტექნიკურ ცენტრ „დელტასა“ და „საქართველოს ქარის ენერგიის ასოციაციას“ შორის ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, რომლის ფარგლებშიც მათ ვალდებულება აიღეს, კომპეტენციის ფარგლებში, ხელი შეუწყონ საქართველოში ქარის ელექტროსადგურების ინდუსტრიული წარმოების დანერგვას, რაც თავის მხრივ, გამოიწვევს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ქარის ელექტროსადგურების ენერგეტიკულ ინფრასტრუქტურაში ინტეგრირებას და ელექტროენერგიის წარმოებას. ინფორმაციას ეკონომიკის სამინისტრო ავრცელებს.

„მემორანდუმს სამინისტროს მხრიდან ხელი მოაწერა მინისტრის მოადგილე რომეო მიქაუტაძემ, სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო — ტექნიკური ცენტრის „დელტას“ მხრიდან კომპანიის გენერალურმა დირექტორმა იოსებ ლოლაძემ და საქართველოს ქარის ენერგიის ასოციაციის მხრიდან მისმა პრეზიდენტმა მამუკა მიქაშავიძემ.

მემორანდუმი ითვალისწინებს მოლაპარაკებების დაწყებას ქარის ელექტროენერგიის მაგენერირებელი დანადგარების მწარმოებელ მოწინავე კომპანიებთან, აგრეთვე როგორც ასეთი ტიპის დანადგარების, ასევე მისი კომპონენტების შესყიდვის მსურველ, დაინტერესებულ პირებთან.

დოკუმენტის თანახმად, მხარეები ასევე მიმართავენ ძალისხმევას, პოტენციური ინვესტორების მოსაძიებლად, რომლებიც დაინტერესებული იქნებიან საქართველოს ტერიტორიაზე ქარის ელექტროსადგურების შემადგენელი კომპონენტების წარმოების დაფინანსებით და განვითარებით ან/და მათი შესყიდვით.

ახალი საწარმო, რომელიც დაამზადებს მსოფლიო სტანდარტებით გათვალისწინებულ ქარის გენერატორებს და მათი მაკომპლექტებელ ნაწილებს, „დელტას“ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე განთავსდება. მემორანდუმი ითვალისწინებს თანამშრომლობას საქართველოს მთავრობასთან, შესაბამის უწყებებთან, საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, ფინანსურ ინსტიტუტებთან, დაინტერესებულ ბიზნეს წრეებთან, საქართველოში ქარის ენერგიის გამოყენებით, ელექტროენერგიის მიღებასა და მოსახლეობისათვის მიწოდების სწრაფი განვითარებისათვის“ — ნათქვამია ინფორმაციაში.

საზოგადოება „კუსტბა“ ღრმა მწუხარებას გამოხატავს ბატონი ლორენცო შარანგიას შვილის,

ლევან შარანგიას

გარდაცვალების გამო.
უსამძიმრებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

თენგიზ ქავთარაძე, ზაურ ფხალაძე, თემურ და თენგიზ კუჭუხიძეები, როლანდ გაბრიჩიძე, ამირან ნიკოლეიშვილი ოჯახებით იუწყებიან

ლელა ლევანის ასული გამყრელიძე-გაბრიჩიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ შვილებს თინიკოს და ლევანს.

აფეთქება თელავში

თელავში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე ორსართულიანი საცხოვრებელ სახლში სავარაუდოდ გაზის დაგროვების შედეგად აფეთქება მოხდა. ჩამოინგრა მეორე სართულის ჭერი და ჩაიმსხვრა ფანჯრის მინები. შემთხვევის შედეგად ოჯახის ერთმა წევრმა ჯანმრთელობის დაზიანება მიიღო.

დაშავებული გადაყვანილია თელავის რეფერალურ საავადმყოფოში. ექიმის თქმით, ქალს ფეხი აქვს მოტეხილი და მისი ჯანმრთელობა მდგომარეობა სტაბილურია. აფეთქების შედეგად ქუჩაზე მდგარი მანქანაც დაზიანდა. მიმდინარეობს გამოძიება

„პაქსლოვიდი“ საქართველოშია

საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, თბილისში ჩამოიტანეს COVID-19-ის სამკურნალო პრეპარატი „პაქსლოვიდის“ პირველი პარტია.

ოფიციალური ცნობით, საქართველო პირველი ქვეყანაა რეგიონში, სადაც COVID-19-ის სამკურნალო მედიკამენტი ხელმისაწვდომი იქნება და ის პაციენტებს უფასოდ გადაეცემათ.

„პაქსლოვიდი“ COVID-19-ის წინააღმდეგ შექმნილი პირველი ყველაზე ეფექტური წამალია. მედიკამენტი ვირუსის გამრავლების უნარის შეზღუდვას ახდენს. „პაქსლოვიდი“-ს ინფიცირების დადასტურებისთანავე გამოყენების შემთხვევაში, დაავადება ვეღარ პროგრესირებს, რაც ამცირებს ჰოსპიტალიზაციის რისკს. მედიკამენტი 90%-მდე იცავს დაავადების გართულებისგან.

„პაქსლოვიდით“ მკურნალობა ვირუსის დადასტურების ადრეულ ეტაპზე უნდა დაიწყოს. მკურნალობის კურსი 5 დღეს მოიცავს. ჯანდაცვის სამინისტროს მიერ, კლინიკური ჯგუფის ექსპერტებთან ერთად, უკვე შემუშავებულია შესაბამისი პროტოკოლი, რომლის მიხედვითაც ის პრიორიტეტული პაციენტები განისაზღვრა, ვისთვისაც მედიკამენტებია განკუთვნილი. პრეპარატის გამოყენება მსუბუქი და საშუალო სიმძიმის იმ პაციენტებში მოხდება, ვისაც პროგნოზულად დამძიმების მაღალი რისკი აქვთ, როგორიცაა ქრონიკული დაავადების მქონე პირები, ხანდაზმულები და ა.შ.

პრეპარატის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას, პაციენტის ოჯახის ექიმი მიიღებს და მისი მიწოდება ბინაზე მოხდება“, — იუწყება ჯანდაცვის სამინისტრო.

COVID-19-ის სამკურნალო მედიკამენტი კომპანია „ფაიზერმა“ შექმნა. „პაქსლოვიდი“ აღიარებულია, როგორც აშშ-ის სურსათისა და წამლის სააგენტოს (FDA) ასევე ევროპის წამლის სააგენტოს (EMA) მიერ. პრეპარატი უკვე გამოიყენება როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასევე ევროპის ქვეყნებში.

28 მარტიდან საქართველოში ღია სივრცეებში პირბადის ტარება სავალდებულო აღარ იქნება. გადაწყვეტილება უწყებათშორისმა საკოორდინაციო საბჭომ 22 მარტს მიიღო. ამავე გადაწყვეტილებით, პირბადის ტარება კვლავ სავალდებულო იქნება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში — საზოგადოებრივ ტრანსპორტში და სხვა სივრცეებში.

გურამ გოგიჩაიშვილი – 85

მილოცვა ვეტერან მეგზევეს

საქართველოს მეგზევეთა საზოგადოება და შპს „საქგზამეცნიერებას“ კოლექტივი ღრმა პატივისცემით ულოცავს 2022 წლის 25 მარტს – დაბადებიდან 85 წლის იუბილეს საქართველოს ვეტერან მეგზევეს, შპს „საქგზამეცნიერებას“ ბათუმის ტერიტორიული საკონტროლო ლაბორატორიის უფროსს ბატონ გურამ გოგიჩაიშვილს და უსურვებს მას ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და ბედნიერებას, თავის დიდ ოჯახთან ერთად.

თქვენ, ბატონო გურამ, წლების განმავლობაში კეთილსინდისიერად და დიდი პროფესიონალიზმით ხელმძღვანელობდით ბათუმის ტერიტორიულ-საკონტროლო ლაბორატორიას, თქვენ ბრძანდებით პრინციპული და მომთხოვნი მუშაკი და თქვენი ღვაწლი დიდია აჭარის რეგიონში საგზაო-სამშენებლო სამუშაოების ხარისხიანად შესრულების საქმეში.

კიდევ ერთხელ გილოცავთ სასახელო იუბილეს და გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს თქვენი ოჯახისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

თამაზ შილაკაძე,
საქართველოს მეგზევეთა საზოგადოების თავმჯდომარე, შპს „საქგზამეცნიერებას“ გენერალური დირექტორი, აკადემიკოსი

სტრასბურგის სასამართლომ საჩივრები დაუშვებლად ცნო!

2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით საქართველომ სტრასბურგის სასამართლოში მორიგი გამარჯვება მოიპოვა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რუსეთის კოორდინაციით ცხინვალის რეგიონში მცხოვრებთა მიერ საქართველოს წინააღმდეგ წარდგენილ 370 ინდივიდუალურ საჩივარზე განჩინება გამოაქვეყნა და საჩივრები დაუშვებლად გამოაცხადა, – ამის შესახებ იუსტიციის სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე იუსტიციის მინისტრმა რატი ბრეგაძემ განაცხადა.

„ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა ქართული მხარის არგუმენტები, რომ ხსენებული საჩივრები იყო აშკარად დაუსაბუთებელი, ვინაიდან ვერ იქნა წარმოდგენილი მინიმალური სტანდარტის მტკიცებულებები მომჩივანთა პრეტენზიების გასამყარებლად“.

ბრეგაძის განმარტებით, სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ ომის დროს ცხინვალის რეგიონი აქტიურად იბომბებოდა რუსეთის ფედერაციის მხრიდან და საქართველოს შეიარაღებული ძალები არ ახორციელებდნენ კონტროლს ცხინვალის რეგიონსა და მიმდებარე ტერიტორიაზე.

„საკაკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, სახელმწიფოს არგუმენტები ძალიან მყარია

იუსტიციის მინისტრის რატი ბრეგაძის განცხადებით, სტრასბურგის სასამართლოში საქმე „საკაკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ განხილვის არსებით ეტაპზე გადადის.

„როგორც მოგეხსენებათ, იუსტიციის სამინისტრო წარმოადგენს საქართველოს საერთაშორისო სასამართლოებში. შესაბამისად, ბუნებრივია, რომ გელაშვილისა და გირგვლიანის საქმეებზე მიხეილ სააკაშვილის სარჩელთან დაკავშირებით დავაშიც ჩვენი უწყებაა ჩართული. საქმე „სააკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ განხილვის არსებით ეტაპზე გადადის. საქართველოს არგუმენტები ძალიან მყარია. საბოლოო კომენტარების გაკეთება მხოლოდ ამ საქმის არსებითი განხილვის დასრულების შემდეგ შეგვეძლება“...

რუსეთის ზარალი უცხოელთა შეფასებით

ნატოს შეფასებით, უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, 40 000-მდე რუსი ჯარისკაცი დაიჭრა, ტყვედ ჩავარდა, დაიკარგა ან დაილუპა. ნატოს შეფასება იმ ინფორმაციას ეფუძნება, რომელიც ალიანსმა უკრაინის მთავრობისგან მიიღო და რუსეთიდან მოიპოვა, მათ შორის როგორც ოფიციალური, ასევე არაოფიციალური ინფორმაცია. ნატოს შეფასებით, ომის დაწყებიდან დღემდე, უკრაინულმა ძალებმა დაახლოებით 7 000-დან 15 000-მდე რუსი ჯარისკაცი მოკლეს.

აღსანიშნავია, რომ უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის შეფასებით, უკრაინაში ომს 15 600 რუსი ჯარისკაცი შეეწირა. დღევანდელი მონაცემებით უკრაინულმა ძალებმა რუსული ძალები აიძულეს, კიევის აღმოსავლეთით უკან დაეხიათ. ამის შესახებ აშშ-ის თავდაცვის უწყების ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა განაცხადა.

რუსეთის ძალები ამჟამად კიევიდან 55 კილომეტრში იმყოფებიან, ხოლო ერთი დღით ადრე კი, ეს დისტანცია 25-35 კილომეტრს შეადგენდა. აშშ-ის თავდაცვის უწყების ოფიციალური პირის თქმით, კიევის ცენტრის ჩრდილო-დასავლეთით რუსული ძალები თავდაცვით პოზიციებს იკავებენ. ამავდროულად, ოფიციალურმა პირმა განაცხადა, რომ რუსული ძალები აქტიურდებიან უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილში, დონბასის რაიონში.

* * *

„უკრაინაში შეჭრის შედეგად რუსულმა ძალებმა, დიდი ალბათობით, ათასობით მსხვერპლი განიცადეს. სავარაუდოდ, ახლა რუსეთი ცდილობს მოახდინოს თავისი რეზერვისტებისა და წევვამდელების, ასევე კერძო სამხედრო კომპანიების და უცხოელი დაქირავებული მეომრების მობილიზება, რათა ჩაანაცვლოს ეს მნიშვნელოვანი დანაკარგები. გაურკვეველია, როგორ მოხდება ამ ჯგუფების ინტეგრაცია უკრაინაში რუსეთის სახმელეთო ძალებში და რა გავლენას მოახდენს ეს მათ საბრძოლო ეფექტურობაზე“, – აღნიშნულია დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვა ინფორმაციაში.

ბერდიანსკში რუსული სადესანტო ხომალდი გაანადგურეს

„რუსეთის მიერ მიტაცებულ ბერდიანსკის პორტში შავი ზღვის ფლოტის დიდი სადესანტო ხომალდი „ორსკი“ გავანადგურეთ“, – ნათქვამია უკრაინის სამხედრო საზღვაო ძალების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ბრიტანეთი უკრაინას ლეტალური იარაღით ამარაგებს

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, ბორის ჯონსონმა უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის განუცხადა, რომ G7-ისა და ნატოს შეხვედრებს უკრაინისთვის თავდაცვითი ლეტალური დახმარების არსებითად გაზრდის მიზნით გამოიყენებს.

„პრემიერ-მინისტრმა გამოაცხადა თავისი განზრახვა, გამოიყენოს G7-ისა და ნატოს შეხვედრები ვლადიმერ პუტინის რეჟიმზე ზეწოლის გასაძლიერებლად და პარტნიორებთან ერთად იმუშაოს უკრაინის თავდაცვითი ლეტალური დახმარების არსებითად გაზრდის მიზნით. ლიდერები შეეცდებიან დააკმაყოფილონ უკრაინის თხოვნა და უზრუნველყონ, რომ პრეზიდენტ ზელენსკის მაქსიმალურად ძლიერი პოზიცია ჰქონდეს მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკებებში“, – ნათქვამია დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ოფისის განცხადებაში.

ევროპაში ეძებენ თავშესაფარს

ომის დაწყებიდან 1 თვეში უკრაინიდან წასული ლტოლვილების რაოდენობამ უკვე 3.6 მილიონს გადააჭარბა. ლტოლვითა საკითხებში გაერო-ს უმაღლესი კომისრის მონაცემებით, 1,5 მილიონზე მეტი ლტოლვილი არასრულწლოვანია.

ყველაზე მეტი იძულებით გადაადგილებული ამ დროისთვის პოლონეთმა მიიღო, მეორე ადგილზეა რუმინეთი, მესამეზე კი – მოლდოვა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა მარტის, 28 მარტს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.2385; ევრო - 3.5630;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.2819;
100 რუბლი - 3.2069; თურქული ლირა - 0.2184;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9097;
1000 სომხური დრამი - 6.6062.

ამინდი 25 მარტისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-4,	დღე	+11
მთიანი რაიონები -	ღამე	-8,	დღე	+7
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+1,	დღე	+10
მთიანი რაიონები -	ღამე	-4,	დღე	+5
თბილისი:	ღამე	-1,	დღე	+8

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge